# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 ივნისი, 2014 წელი.

№108 (7489)


> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როდესაც სახელმწიფო კანონიერად მოქმედებს, ეს მისი სიძლიერეა და არა სისუსტე

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენცია 2014 წლის 4 ივნისს „ექსპო ჯორჯიაში“ 2



## ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს! 5

## საყდრისის ირგვლივ დავა არ წყდება 6



## ჯიუტი აფხაზს მორჩილი აფხაზი ჩაანაცვლებს 8

## ანტიდისკრიმინაციული კანონის საწინააღმდეგოდ 30 000 ხელმოწერა შეგროვდა 4




## ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელ საქართველოსთან ერთად! 9



## საუკეთესო სენით შეპყრობილი წესების დამრღვევი კაცი 7




მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ


**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# როდესაც სახელმწიფო კანონიერად მოქმედებს, ეს მისი სიძლიერეა და არა სისუსტე

## საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პრესკონფერენცია 2014 წლის 4 ივნისს „ექსპო ჯორჯიაში“



**ჩვენ** მოსახლეობას დავპირდით, რომ 100 საწარმო 2016 წლის ბოლომდე შეიქმნებოდა, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობამ უკვე მოახერხა 70-ზე მეტი საწარმოს გახსნა.

მინდა შეგახსენოთ, რომ ამ საწარმოებში დაახლოებით 700-ზე მეტი ადამიანი დასაქმდა და 400-ზე მეტი საწარმოს გაფართოება-გადაიარაღება განხორციელდა“, – აღნიშნა პრემიერმა.

**პრემიერ-მინისტრის** განცხადებით, მას პრემია არც ერთხელ არ აუღია. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“ ჟურნალისტებთან მიმდინარე შეხვედრაზე, იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის გარდა, მთავრობის ყველა წევრის პრემიების შესახებ ინფორმაცია განსაჯაროვდა.

„ჩემი მინისტრობის და პრემიერობის დროს არც ერთხელ არ მიმიღია პრემია და მინდა, ვთხოვო, დღესვე გამოაქვეყნონ ამონაწერი და ეს ინფორმაცია გახადონ საჯარო. მე არ მესმის, რატომ იყო საიდუმლო? თუ არ მოგითხოვიათ, რატომ ამბობთ, რომ არ გამოვაქვეყნეთ?“ – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**პრემიერ-მინისტრი** აფხაზეთის მოვლენებს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებას არ უკავშირებს. როგორც მან აფხაზეთში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების კომენტირებისას განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით აკვირდება იქ განვითარებულ მოვლენებს.

„მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე არ არის საჭირო აჟიოტაჟი ავტეხოთ და საზოგადოება დავძაბოთ. ჩემი შეფასებით, ეს არის ჩვეულებრივი საკადრო გადაადგილება. გარკვეული სპეკულაციების დრო წავიდა, რომ გალის მოსახლეობას რაღაც პრობლემები შეიძლება შეექმნას. ჩვენ ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებით და მოგვიანებით გახდება შესაძლებელი უფრო რეალური ანალიზის გაკეთება.

ის, რაც აფხაზეთში ხდება, ღიად არის დეკლარირებული და ყველამ კარგად ვიცით, რა პროცესი მიმდინარეობს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის განცხადებით, მისმა მთავრობამ აფხაზეთთან და ოსებთან დაიწყო შერიგების პოლიტიკა და შეცვალა ის რიტორიკა, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა.

**ჟურნალისტის** კითხვაზე, არის თუ არა რუსეთის მხრიდან ღია ჩარევა აფხაზეთში, როგორც ეს საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ამას სჭირდება დადასტურება, დაკვირვება და სწორი ანალიზი.

„მე არ მსურს, ნაჩქარევად გავაკეთო კომენტარი ამაზე. ხოლო აპირებს თუ არა რუსეთი ჩარევას ასოცირების ხელშეკრულებაში, ჩემი ინფორმაციით, რუსეთი არ აპირებს ჩარევას და რუსეთის ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ არ აპირებენ, ჩაერიონ საქართველოს ასოცირების ხელმოწერის პროცესში. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვხედავთ ვერანაირ ნიშანს რაიმე გართულების“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

**კითხვაზე**, უკავშირებს თუ არა პრემიერი აფხაზეთის მოვლენებს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებას, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ არ უკავშირებს.

„ჩვენ ვაგრძელებთ კონსტრუქციულ პოლიტიკას და ამას კონკრეტული შედეგები მოჰყვა, იყო თანხვედრი ნაბიჯები რუსეთის მხრიდან, ვგულისხმობ ბაზრის გახსნას რუსეთის მხრიდან“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

**ჩემსა** და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შორის არავითარი დაძაბულობა არ არსებობს, – ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც პრემიერისა და პრეზიდენტის ურთიერთობას ეხებოდა.

მისი განცხადებით, პრემიერსა და პრეზიდენტს შორის ჯანსაღი ურთიერთობაა.

„ამ თემაზე მინდა, დავასრულო სპეკულაცია, არავითარი დაძაბულობა და მით უმეტეს, პიროვნული დაძაბულობა არ არსებობს. ჯანსაღი ურთიერთობა გვაქვს, რომელიც უნდა გვქონდეს ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ პრეზიდენტს და პრემიერს. ეს საუბრები და სპეკულაციები მიმდინარეობს მიზანმიმართულად ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, რომელსაც ხელს უწყობენ სხვადასხვა მედიასაშუალებები და ახდენენ ამის ტირაჟირებას. ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა – მოახდინონ მოსახლეობის დაძაბვა, რომ რაღაც ხდება. არაფერი არ ხდება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, როდესაც არის სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები ის პრეზიდენტთან ერთად ჩნდება.

„იგივე იყო 26 მაისს, რომელიც გახსნა პრეზიდენტმა და ჩვენ ერთად ვიზეიმეთ ეს დღე. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ, რომ კონსტიტუცია შეიცვალა, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი დღეს არის პრემიერი, პრეზიდენტს სხვა ფუნქცია აქვს, პარლამენტს – სხვა. ის, რომ პრეზიდენტი და პრემიერი ერთად არ ჩნდებიან, ამაში უცნაური არაფერია. არ არის აუცილებელი სტუმრად ჩამოსულ უცხოელ პრეზიდენტს პრემიერი და პრეზიდენტი ერთად დახვდნენ. მე გერმანიაში ვიყავი, მათ ჰყავთ პრეზიდენტი და კანცლერი, მე იქ პრეზიდენტი არ მინახავს“, – განაცხდა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება ჟურნალისტის შეკითხვას – იქნება თუ არა გიორგი მარგველაშვილი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოსაწერად გასამგზავრებელ დელეგაციაში, პრემიერის განმარტებით, ამ თემაზე პრეზიდენტთან არ უსაუბრია.

„არ გვისაუბრია ამ თემაზე, თუ ამის სურვილი და საჭიროება იქნება, პრობლემა არ არის. გადაწყდა, რომ ასოცირების ხელშეკრულებას პრემიერ-მინისტრი მოაწერს ხელს“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ასოცირების ხელშეკრულების თემაზე პრეზიდენტმა და პრემიერმა განსხვავებული განცხადებები გააკეთეს, რადგან ვერ მოხერხდა პოზიციების წინასწარ შეჯერება.

„ამ თემაზე გაკეთდა ურთიერთგანსხვავებული განცხადებები. სასურველი იქნებოდა წინასწარ შეგვეჯერებინა განცხადებები. რაღაც კომუნიკაციის პრობლემა წარმოშვა იმან, რომ მე აქ არ ვიყავი, პრეზიდენტი იყო საქართველოში, ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება. ის, რომ განსხვავებული პოზიციები დაფიქსირდა, ეს მიუთითებს, იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში არის რეალური დემოკრატია. ის, რომ პრეზიდენტი და პრემიერი არ არიან ერთ აზრზე მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ჩვენი კანდიდატია, მე ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. პრეზიდენტს და მე გვაქვს საერთო ინტერესები, ქვეყნის ინტერესები არ დაზარალდება“, – განაცხადა პრემიერმა.

**„ნაციონალური მოძრაობის“** რეიტინგი მთლიანობაში 5%-ს შეადგენს, – ამის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ კლებად რეიტინგს ბევრი ორგანიზაციის კვლევა ადასტურებს.

„ყოველდღე ნაცმოძრაობის რეიტინგი ეცემა. საერთო ჯამში აქვთ 5%, ანუ საკუთარ სიმბოლურ რიცხვზე ჩამოვიდნენ. ძალიან ბევრი ორგანიზაციის კვლევა ადასტურებს, რომ მათ აქვთ კლებადი რეიტინგი. საინტერესოა, რა პერსპექტივაზე აქვთ საუბარი“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ყოფილი პრეზიდენტის ეკონომიკურ პოლიტიკაზეც ისაუბრა. მისი თქმით, გონიერი პრეზიდენტი მილიარდნახევარს 5 პროექტში არ ხარჯავს.

„გჯერათ, რომ ეკონომიკა იყო საქართველოში? ეკონომიკა არ არის, როდესაც ყოფილმა პრეზიდენტმა ააშენა 600-მილიონიანი შენობა და პირადი მიზნებისთვის ხარჯავდა 10 მილიონს. გონიერი პრეზიდენტი მილიარდნახევარს არ დახარჯავს 5 პროექტში – სასახლეში, იუსტიციის სახლში, ხიდსა და ორ გაუგებარი დანიშნულების შენობაში რიყეზე. ეს რა თქმა უნდა, აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ არა ინკლუზიურ ზრდაზე, ანუ თითოეულ მოსახლეზე. ეკონომიკა რეალურად არ მუშაობდა საქართველოში. იყო გაჩერებული საწარმოები, გაჩერებული იყო წარმოება, დანგრეული და დაცლილი იყო მთა და სოფელი, თუ რაიმე საწარმო არსებობდა, ისიც გააჩერეს. სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად გაანადგურეს. დღეის მდგომარეობით 85% არის იმპორტირებული საქონელი“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

> **„ყოველდღე ნაცმოძრაობის რეიტინგი ეცემა. საერთო ჯამში აქვთ 5%, ანუ საკუთარ სიმბოლურ რიცხვზე ჩამოვიდნენ. ძალიან ბევრი ორგანიზაციის კვლევა ადასტურებს, რომ მათ აქვთ კლებადი რეიტინგი. საინტერესოა, რა პერსპექტივაზე აქვთ საუბარი“**

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის აზრით, ფარულ მოსმენებზე წვდომის ე.წ. გასაღები მობილური ოპერატორების ხელში არ უნდა იყოს.

ამის შესახებ ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“ მიმდინარე პრესკონფერენციაზე, ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტის თაობაზე დასმული იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, თუ ვის უნდა ჰქონდეს ე.წ. გასაღები – წვდომა ფარულ მოსმენებზე.

„დავიწყოთ იმით, რომ არავითარი „გასაღები“ არ არსებობს და აქაც არასწორი ინფორმაციაა, ატყუებენ მოსახლეობას. წვდომა, გასაგებია, აქვს, მაგრამ ჩვენ ერთი მხრივ, უნდა მოვაწესრიგოთ ეს სისტემა, რომ არ განმეორდეს უკანონო მოსმენების დრო. მხოლოდ ნება არ არის საკმარისი. სწორედ ამ მიზნით, ეს კანონი პირველი მოსმენით მივიღეთ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, „გასაღები“ ვის ხელში უნდა იყოსო, ჩვენ გვაქვს სურვილი და რეალური მოტივაცია, ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო. ასეთ ძლიერ სახელმწიფოში უმაღლეს დონეზე უნდა იყოს დაცული უსაფრთხოება. ამ ეტაპზე, მე მიმაჩნია, რომ ეს „გასაღები“ არ უნდა იყოს მობილური ოპერატორების ხელში, ეს არასწორია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, არსებობს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხები, რომელზეც ღიად საუბარი არ შეიძლება და რომელზეც უსაფრთხოების სამსახურები მუდმივ რეჟიმში ზრუნავენ.

„**ჩვენ** ვალდებული ვართ, ამ ორგანოებს დავემორჩილოთ, ყურად ვიღოთ და გავითვალისწინოთ ის საფრთხეები, რომელიც მათი შეფასებით, მომდინარეობს ამა თუ იმ კუთხიდან, მაგრამ მე გარწმუნებთ, რომ ჩვენ გავაკეთებთ მაქსიმალურად მოქნილ და დაბალანსებულ მექანიზმს, რაც, ერთი მხრივ, გამორიცხავს უკანონო მოსმენებს და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვას. ჩვენ ამ იდეალურ ბალანსს, ოქროს შუალედს აუცილებლად ვიპოვით“, – განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ სახელმწიფო ინტერესების შელახვას და უსაფრთხოების შესუსტებას არ დაუშვებს.

ჩვენ ყველაფერს კანონიერად ვაკეთებთ და თუ ვიღაცას კანონის დაცვა სისუსტედ მიაჩნია, მაშინ აქ საუბარი აღარ არის დემოკრატიაზე, – ასე უპასუხა ირაკლი ღარიბაშვილმა კითხვას, რომელიც ხელისუფლების სისუსტის შესახებ არსებულ მოსაზრებას შეეხებოდა.

საუბარია რამაზ საყვარელიძის მოსაზრებაზე, რომელმაც „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ რადგან კოალიციას „ნაციონალების“ გასამართლება გაუჭირდა, შეიქმნა „ქართული ოცნების“ სისუსტის სტერეოტიპი.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, რეალური განაჩენი დადგა ვანო მერაბიშვილზე, ახალაიაზე და სხვა ადამიანებზე, რომლებიც რეალურად პოლიტიკის განსაზღვრელები იყვნენ წინა ხელისუფლების დროს, ანუ დამტკიცდა, რომ ისინი იყვნენ კრიმინალები, თუმცა, ძალიან ბევრი საქმე გამოძიების პროცესშია.

„ძალიან ბევრი განაჩენი უახლოეს თვეებში დადგება და იმის განცდაც მოიხსნება, რომ ვიღაცა ნაკლებად ხისტად თუ ნაკლებად სუსტად იქცევა. მე არ ვთვლი, რომ ეს სიმართლეა და ეს სწორი შეფასებაა. მიმაჩნია, რომ ჩვენ ყველაფერს კანონიერად ვაკეთებთ და თუ ვიღაცას კანონის დაცვა სისუსტედ მიაჩნია, მაშინ აქ საუბარი აღარ არის დემოკრატიაზე. მაშინ მივიღებთ იმას, რაც იყო. ძალადობა ყველაზე მარტივია და ყველაზე რთულია ქვეყანა დემოკრატიულად და კანონიერად მართო. სისუსტე არის ძალადობა, მინდა ვუპასუხო იმ ექსპერტს, რომელმაც ეს შეფასება გააკეთა. სისუსტე ის კი არ არის, რომ სახელმწიფო კანონიერად მოქმედებს, ეგ არის სიძლიერე და სუსტის ქმედება არის ძალადობა, რასაც სააკაშვილი აკეთებდა", — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, სამართლიანობის აღდგენას ახალი ხელისუფლება უსამართლობით არ დაიწყებდა.

ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსთან" საუბარში რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ თუ „ქართულმა ოცნებამ" სისუსტის იმიჯი არ მოიშორა, ალბათ მომავალში ბევრი პრობლემა გაუჩნდება.

„ნაცმოძრაობამ" ხელისუფლებას ბევრი პრობლემა გაუჩინა. მე ერთ-ერთს გავუსვამდი ხაზს — ძირითადი პრობლემა ის არ არის, რომ სასამართლოები „ნაციონალებისთვის" სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებენ ან პროკურატურა არაეფექტურად იძიებს მათ საქმეებს და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, ძირითადი პრობლემა, რაც „ნაციონალებმა" „ქართულ ოცნებას" გაუჩინეს ისაა, რომ რახან კოალიციას „ნაციონალების" გასამართლება გაუჭირდა, შეიქმნა „ქართული ოცნების" სისუსტის სტერეოტიპი. ეს ძალზე სახიფათო სტერეოტიპია, რადგან ამომრჩეველს სუსტი არ უყვარს. ასე რომ, სისუსტის იმიჯი, რომ ხელისუფლებას რაღაცები არ შეუძლია, ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდია", — მიაჩნია საყვარელიძეს.

ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ გვაქვს მზაობა, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრისა, თუმცა, როდის და რა ფორმით, ამას დრო გვიჩვენებს, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და ვლადიმერ პუტინთან შესაძლო შეხვედრას ეხებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობამ შეძლო და რუსეთთან ურთიერთობები გააუმჯობესა.

„რაც შეეხება ვლადიმერ პუტინთან შეხვედრას, ამას სჭირდება კარგი მომზადება. ჩვენ ზოგადად დავაფიქსირეთ, რომ გვაქვს მზაობა, შედგეს პირდაპირი დიალოგი, მაგრამ როდის, რა ფორმით, როგორ ან რა ფორმატით, ამას დრო გვიჩვენებს", — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, წინა ხელისუფლებას ჰქონდა რადიკალური დამოკიდებულება, რაც იყო დამღუპველი, არავითარი შედეგის მომტანი.

„ჩვენ ვალდებული ვართ, რომ შედეგზე ვიფიქროთ. ჩვენ ხალხმა იმიტომ აგვირჩია, რომ კონკრეტული შედეგი მოვიტანოთ ნებისმიერ სფეროში. ჩვენ ვართ დაინტერესებული, მოვახდინოთ ამ ურთიერთობის ნორმალიზება, ჩვენ გარკვეული მიმართულებით უკვე მივაღწიეთ შედეგებს. ჩვენი კონსტრუქციული პოლიტიკის შედეგია, რომ მოხდა დეესკალაცია იმ დაძაბულობის, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. დაიწყო ხალხთა შორის ნდობის აღდგენა, სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესება".

მისივე თქმით, რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, ამაზე არის კონსტრუქციული რეჟიმი და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

„ჩვენი ამოცანა არ არის ურთიერთობების დაძაბვა. ჩვენი ამოცანაა, ურთიერთობები დავალაგოთ და ქვეყნის სტაბილური განვითარება იყოს ხანგრძლივი. გვახსოვს 2008 წელი, გაჭირვება, ძალადობა. ჩვენი მიზანი და რეალური შედეგია რუსეთის ხელისუფლების განცხადება, რომ არ აპირებს, ჩაერიოს საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების პროცესში, ეს არის რეალური შედეგი. ჩვენ მათგან ვხედავთ კონსტრუქციულ ნაბიჯებს. საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანა ხდება. საქართველო შეიძლება იყოს მოდელი, რომელიც ახერხებს დაბალანსებული და კონსტრუქციული ურთიერთობების გაღრმავებით რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას და მეორე მხრივ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. საინტერესო პრეცედენტი იქმნება".

სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, მარიხუანას ლეგალიზაცია არ მოხდება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა პრესკონფერენციაზე მარიხუანას დეკრიმინალიზაციის შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„მე ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ არავითარი ლეგალიზაცია არ მოხდება მარიხუანას, ეს არც განიხილება და მანამ, სანამ ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, ეს არ მოხდება. ანუ დეკრიმინალიზაცია არ მოხდება. რაც შეეხება მუხლების გადახედვას, ამაზე კიდევ შეიძლება, ვიმსჯელოთ, თუმცა, მე ვიცი, რომ მიდგომა შეიცვალა. მე მინდა, მოსახლეობას განვუმარტო, რომ პირველ ფაქტზე, როდესაც პიროვნებას მარიხუანას მოწევაზე დააკავებენ, ის ჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, განმეორებით ფაქტზე 2 000 ლარით და მესამე ფაქტზე არის მხოლოდ პატიმრობა ან კიდევ უფრო გაზრდილი ჯარიმა. მე არ ვიცი, რატომ უნდა იყოს ამაზე ლოიალური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან, არ მესმის", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.




მისივე თქმით, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ რა გვინდა — ხელი შევუწყოთ ნარკომან თაობას, თუ ჯანსაღ თაობას? პრემიერის თქმით, მარიხუანა არის პირველი ეტაპი და შემდეგ მას წამალი და ბიონარკოტიკები მოსდევს.

„ჩვენ ამას უნდა შევხედოთ როგორც ნარკომანიასთან ბრძოლას და არა ისე, რომ რამდენიმე ადამიანი გამოვა და იტყვის, რომ მარიხუანას მოწევა არაა დანაშაულიო. მე არ დავუშვებ, რომ წახალისდეს ნარკომანია, პირიქით", — დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

## ◎ ინფორმაცია

### ეხმაურებიან უგულავას მორიგ სიცრუეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას განცხადებას ეხმაურება. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ კიდევ ერთხელ სცადა, შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება, როდესაც მან განაცხადა, რომ „გუდაური სქი რეზორტისათვის" ჯარიმის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო ცენტრალურმა მთავრობამ.**



საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, სინამდვილეში, დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო ქალაქ თბილისის მერიამ.

„თბილისის მთავრობამ 2014 წლის 23 აპრილს მიმართა სასამართლოს დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს 193 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის შესახებ, ხოლო ორ დღეში, სარჩელი უკან გაიწვია და გამოსცა განკარგულება ჯარიმისგან კომპანიის გათავისუფლების შესახებ.

დადგენილებას ხელს აწერს თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე", — აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

მათივე თქმით, რაც შეეხება ცვლილებებს ხელშეკრულებაში, აღნიშნულ თემას არანაირი შემხებლობა არ აქვს ჯარიმის გაუქმებასთან.

„გუდაური სქი რეზორტის" ხელმძღვანელებმა ცენტრალურ მთავრობას სთხოვეს ხელშეკრულების პირობების შეცვლა, იმ დროს, როდესაც მათ მიერ უკვე დარღვეული იყო საინვესტიციო ვალდებულებები და ხელშეკრულების თანახმად, უკვე დაჯარიმებული გახლდათ თბილისის მერიის მიერ. აღნიშნულმა დოკუმენტმა გაიარა მთავრობის სხდომა და გადაეგზავნა პრეზიდენტს ხელმოსაწერად.

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ ეს არის ორი, აბსოლუტურად განსხვავებული საკითხი და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ცენტრალურ მთავრობას ჯარიმის გაუქმებასთან არანაირი კავშირი არ აქვს", — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

უწყება ასევე შპს „გუდაური სქი რეზორტსა" და ქ. თბილისის მთავრობას შორის გაფორმებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ 2011 წლის 12 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ" დადგენილებას ავრცელებს, რომელსაც მათი თქმით, ხელს მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე აწერს.

გიგი უგულავა სოციალურ ქსელში დოკუმენტს აქვეყნებს და აცხადებს, რომ მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზეც მერიამ კომპანია „გუდაური სქი რეზორტს" ვალდებულება გადაუვადა.

„ეს არის მთავრობის დადგენილება, რომლის საფუძველზეც მერიამ ამ კომპანიას ვალდებულება გადაუვადა. რაც არ უნდა ისტორია შეთხზას ღარიბაშვილმა, ვინც არ უნდა გაპრესოს და რაც არ უნდა ალაპარაკოს ფინანსურმა პოლიციამ თბილისის მერია, მე ან მით უმეტეს ჩემი ქვისლი როგორ აიძულებდა მთავრობას (ივანიშვილს), დათანხმებულიყო მერიის წინადადებას. მეტიც, თუ არ წაშალეს ახლა, მთავრობის სტენოგრაფიული ჩანაწერებიც უნდა არსებობდეს, სადაც ეკონომიკის მინისტრი მხარს უჭერს წინადადებას, ივანიშვილი ღარიბაშვილს ავალებს შესწავლას და სამი თვის მერე იღებს ამ განკარგულებას. ასე, რომ ყველა თქვენი ტყუილი საპნის ბუშტივით გასკდება და წინ დაგხვდებათ", — წერს გიგი უგულავა სოციალურ ქსელში.

### ფასიანი ქაღალდების აუქციონი

**გუშინ ეროვნული ბანკის 91-დღიან №24, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 35 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" ეროვნული ბანკიდან აცნობეს, ფასიანი ქაღალდები შეიძინა ხუთმა კომერციულმა ბანკმა.

მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.27 პროცენტით, მაქსიმალური 4.39 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 4.34 პროცენტით განისაზღვრა.

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● ნაცებმა რო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოითხოვონ მე პრინციპში მხარს დავუჭერ.

მაგრა არ მოითხოვენ (სამწუხაროდ).

● MAP-ის უკანონოდ შენახვა—შეძენაზე სროკი რამდენია?

● „რუსთავი-2" რომ წმინდა სინოდის სხდომას აშუქებს ძალიან მაგარია (ვაი ჩვენს პატრონს).

● ორი შეკითხვა მაქვს:

1. MAP-ზე უკეთესი ხომ გვაქვს და რაღად გვინდა?

2. „ოცნება" ბნელ წარსულში გვაბრუნებს, თუ ნაცები გვატყუებდნენ?

● ისე, რა საინტერესო ტენდენციაა ქვეყანაში, არა:

მილიონერობა აღარაა პრესტიჟული, მილიარდერობა ბევრად უკეთესი ყოფილა!

...ანუ, 1000-ჯერ მილიონერობა! კარგია მათემატიკა რომ მაინც კარგად ვიცით!

არადა რომ ჰკითხო, შვილებისთვის უნდათ ყველაფერი! იმ შვილებისთვის, რომლებიც „ნუტელიანი" ფუნთუშით იზრდებიან ცვედნებად, დარწმუნებული ვარ!




ან მეზობელი არ გყავთ გაჭირვებული, ან ნათესავი? თუ გგონიათ, ეკლესიის აშენებით „დაიჯავშნით" ადგილებს სამოთხეში?

დამარხეთ ფული, თქვენი დედა ვატირე! რომ მოგაკითხავთ მიქელ გაბრიელი (100 წლის შემდეგ), მერე გამოიყენეთ.

არადა მიქელას ფული საერთოდ არ სჭირდება.

● მეტი „ჩაწყობა" და ნეპოტიზმი რა გინდათ?

ვეფხვი კატისებრთა ოჯახისაა, არადა, წესით, კატა უნდა იყოს ვეფხვისებრთა ოჯახიდან!

მოკლედ, ვინც უკეთ „შეგვეტენება", იმას ვწყალობთ!

● იცინეთ და იძახეთ ეხლაც ....ჭამე ნოდარიო!!!

თბილისის აეროპორტი. ევროპელი ფინანსისტების საუბარი გამგზავრებისას:

არა რა, არანაირ ტრანშის გამოყოფას აღარ ვაპირებ საქართველოსთვის! ეს რა ღვინო დაგვალევინა! სუფთა ხვანჭკარააო, რომ გვატყუებდა. არა და ადესას და დირბულას ნარევი იყო! — ჩაიბურტყუნა ნორვეგიის ფინანსთა მინისტრმა. აბა, აბა, მხარი აუბა დანიელმა ფინანსისტმაც. ზემო რაჭიდანაა ეს ლორიო და რაღაც დანიური მთხლე ვიჩინა გვაჭამა! — იმის ნახევარს მივცემ კრედიტს რასაც დავპირდი! ყველა გათაღლითდა, ყველა! ყველა ჩვენ მოტყუებას ცდილობს! მწვადი წალამზეო და ამ დროს კისერი მომჭერით თუ უბრალო შეშაზე არ იყო შემწვარი! — აწიკვინდა საფრანგეთის „ქობალიაც".

გრანტს რომ ითხოვს, ხო შეგვციცინებს თვალებში! სოფლის დედლისაა შქმერულიო და პელეს დროინდელი ბრაზილიური გაყინული ქათამი კი გვაჭამა, დაიბუბუნა ბრიტანეთის ბენდუქიძემ — მეგრული გოჭიო! თან მკერდის ძუძუზე გაზდილიო! არა და გლდანის სანაგვეზეა გაზდილი, მაგას მაჭმევდა მეე?

ყვითელი ავტობუსები არა, მწვანე რაფებს გადავცემ კიდე უსასყიდლოდ. — წაიჭიხვინა ჰოლანდიელმა მინისტრმა.

ახლაც დაამადლეთ, თქვე უმადურებო ნოდარს! კაცი წელებზე ფეხს იდგამდა, ტოესტ, თავგანწირვით ჭამდა და სვამდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. აღარც დიეტა ახსოვდა და აღაც სამეჯლისო ცეკვების კურსები. თქვენ კიდე, ჭამე ნოდარი, ჭამეო, აბუჩად იგდებდით!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

ინციდენტი საზღვარზე

# რა ხდება კირნათში?

## ანუ „საააკაძე მოვიდა, ძრწოდეთ შადიმანებო"

**კირნათი ამ დღეებში პრესისა და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს სოფელი უშუალოდ ესაზღვრება თურქეთის რესპუბლიკას. საქართველოსა და თურქეთს აქ ჭოროხი ჰყოფს. მარჯვენა მხარეს ჩვენი მიწებია, მარცხენა სანაპიროზე კი — თურქეთის. როგორც აქაურები აცხადებენ, 29 მაისს თურქმა მესაზღვრეებმა ისინი ჭოროხისპირა მიწებიდან იმ საბაბით გამოაძევეს, რომ ქართველები მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.**

**გუშინწინ, 3 ივნისს კირნათს დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, ადა მარშანია, პოლიტიკური ორგანიზაცია „დავით თარხან-მოურავი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" მაჟორიტარი დეპუტატობის აჭარის რაიონებისა და ბათუმის საკრებულოების, გამგებლობისა და მერობის კანდიდატები და აქტივისტები ეწვივნენ, მიუხედავად თავსხმა წვიმისა, სოფლის შესასვლელთან გამართულ აქციაზე თითქმის მთელმა კირნათმა მოიყარა თავი.**

...ქვემოთ ჭოროხი მოაგორებს მღვრიე ტალღებს. მის იქით სანახევროდ დამუშავებული მიწები მოსჩანს. იმის იქეთ კი თურქების საგუშაგოა. ჭოროხს აქეთ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელი მესაზღვრის საგუშაგო კოშკი ჩანს. სოფლის გზიდან ხელისგულივით მოჩანს ტერიტორია, სადაც ინციდენტი მოხდა. აქაურების თქმით, ახლა ჭოროხგაღმა მიწები რომაა, იგი ადრე საქართველოს ტერიტორია იყო. ესე იგი საბჭოთა კავშირისა. შემდგომ ჭოროხმა კალაპოტი შეიცვალა და დაახლოებით ორასი მეტრით გადმოიწია ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში. გაღმა დარჩენილ მიწებს კირნათელები ათეული წლების განმავლობაში უპრობლემოდ ამუშავებდნენ მანამ, სანამ ამ დღეებში თურქმა მესაზღვრეებმა ისინი იქიდან არ გამოაძევეს. მცირემიწიანი სოფლის მოსახლეობისათვის ეს მძიმე დარტყმაა. ისინი თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ იმიტომაც, რომ მამაპაპისეული მიწიდან უბოდიშოდ გამოყარეს. კირნათელები აქციაზე არ მალავდნენ უკმაყოფილებას საქართველოსა და აჭარის ხელისუფლების მიმართ, რომლებიც ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ პრობლემის გადასაჭრელად. როგორც კირნათელებმა ბათუმიდან მისულ სტუმრებს განუცხადეს, ხელისუფლება ცდილობს ისეთი სახე მიიღოს, თითქოს არაფერი მომხდარა. სასაზღვრო პოლიციაში კი აცხადებენ, რომ თურქეთის მესაზღვრეების მხრიდან საზღვრის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ადგილობრივები იმასაც ამტკიცებენ, რომ სწორედ ქართველმა მესაზღვრეებმა გაავლეს ამ დღეებში პირობითი საზღვარი, რომლის წყალობითაც თითქოს სოფელმა და შესაბამიდან საქართველომ მიწები დაკარგა.

„საქართველოს რესპუბლიკამ" კირნათელების ნაამბობი ჩაიწერა.

**რეზო შუშანიძე:** „ჭოროხგაღმა რომ მიწებია ახლა, თავის დროზე ის მდინარის გამოღმა იყო. მერე ჭოროხმა კალაპოტი შეიცვალა და ჩვენს მხარეს გადმოვარდა. თუმცა, იმ მიწებს ისევ ჩვენ ვამუშავებდით. ჩვენთან მიწის რეფორმა არ ჩატარებულა, ამიტომ სოფლის მოსახლეობა ფაქტობრივად უმიწოდ ვართ დარჩენილი. არადა, ჩვენგან იწყება საქართველო, ჩვენ თუ გვაიძულეს და აქაურობა დავტოვეთ, ვინღა დაიცავს ამ მიწას? არადა, ხელისუფლება გვაიძულებს ასე მოვიქცეთ. ხედავთ? აგერ ქვემოთ ჰესი რომ შენდება, მიწების ნაწილი წყალსაცავისთვის წაიღო სახელმწიფომ. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ მთავრობა იმიტომ არ იღებს ხმას, რომ თურქეთის მხარის გაღიზიანებას ერიდება.

„კირნათელების ამ მოსაზრებას დავით თარხან-მოურავიც ეთანხმება. როგორც მან განაცხადა, რამდენიმე დღის წინათ ქართულმა მხარემ მოხსნა აქ დამონტაჟებული კამერები, რომლებიც საზღვრის ამ მონაკვეთს აკონტროლებდა და წაიღეს. ახლა კი აცხადებენ თურქების მხრიდან არანაირი საზღვრის დარღვევა არ მომხდარაო."

**ზვიად ჯიხაძე, კირნათის მკვიდრი:** „ჩვენ აქ ვცხოვრობთ, ჩვენ გამოგვყარეს ამ მიწებიდან მაშინ, როცა მას ვამუშავებდით. მოდი და ნუ გადაირევი, თბილისიდან და ბათუმიდან თანამდებობის პირები გამოდიან ტელევიზიით და ლაპარაკობენ, არაფერი არ მომხდარაო. ასეთი ინფორმაცია გადასცა აჭარის ტელევიზიამაც. მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, შენს მიწაზე თურქი მესაზღვრე ავტომატით რომ დაგადგება თავზე და გიბრძანებს აქედან წადი, ეს შენი მიწა კი არა, ჩემიაო და გამოგაგდებს. მაინცადამაინც ოსებივით ტყვედ უნდა ავეყვანეთ, ან უნდა მოვეკალით?"

ახლა კირნათელები, ალბათ, უფრო აღშფოთებულები არიან, ვიდრე მაშინ, ჩვენ რომ ვსტუმრობდით. საქმე ისაა, კირნათიდან დაბრუნებული ამ სტატიაზე რომ ვმუშაობდი, ადგილობრივი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა გავიდა ეთერში. აჭარის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ დეპუტატს სთხოვეს კომენტარი, რომელმაც განაცხადა, ეს სკანდალი წინასაარჩევნოდ ოპოზიციურმა პარტიებმა ააგორეს, რათა დაძაბულობა შექმნანო. ამისთანაზე იტყოდა ოტია იოსელიანი — „რას ბჟუტურობს მაგი, თუ იცისო?" ადით კირნათში, შეხვდით იქაურებს, გაიგეთ მათი გასაჭირი და მერე აღარ ილაპარაკებთ ასე ჰაიჰარად. შეხვდით და პასუხი გაეცით სულხან წითელაძეს, რომელსაც ჰესის მშენებლობის გამო მარჩენალი მიწის ნაკვეთი წაართვეს და მრავალრიცხოვანი ოჯახი უკიდურესი გაჭირვებისათვის გაწირეს. ან იმ გამწარებულ დედას მოუსმინეთ, რომელსაც თურქეთის, დერინელის კაშხლიდან გაუფრთხილებლად, მოულოდნელად გაშვებულმა წყლის უზარმაზარმა მასამ 16 წლის შვილი რომ მოსტაცა. ნახეთ ის ქალი და მოისმინეთ რამდენი საფუძვლიანი პრეტენზია აქვს მას თქვენს მიმართ. ოცნება რომ აისრულეთ და კაბინეტებში მოიკალათეთ, ახალ ჯიპებზე გადაჯექით და ზღაპრული პრემიები დაინიშნეთ, სხვის ჭირს ველარ ხედავთ? გაჩერდით მაინც, ნუღარ აღიზიანებთ ხალხს აბსურდული განცხადებებით. თორემ, რაც ნაცმოძრაობას დააკლო ქართველმა ხალხმა, თქვენ შეგისრულებს.



აქცია კირნათში კარგა ხანს გაგრძელდა. მიუხედავად თავსხმა წვიმისა, არც სტუმრები და არც მასპინძლები დაშლას არ ჩქარობდნენ. დავით თარხან-მოურავს, ირმა ინაშვილსა და მარშანიას, ბათუმიდან კირნათში ასულ პატრიოტთა ალიანსის წევრებს კირნათელები იმედის თვალით შეჰყურებდნენ და სთხოვეს ხელისუფლებისათვის საზღვარზე შექმნილი რეალური ვითარება გადაეცათ. მათაც პირობა მისცეს, რომ აუცილებლად დაეხმარებიან. იქ მყოფთაგან ყველამ კარგად უწყის, რომ სოფლისთვის მიცემულ პირობას არ ეღალატების. ერთმა კირნათელმა ემოციურად განაცხადა „საააკაძე მოვიდა, ძრწოდეთ შადიმანებოო" და დავით თარხან-მოურავს ძმურად გადაეხვია.

**ამირან კიღურაძე,**
**„სრ"აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.**

**P. S. ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო არჩევნების მარცხის შემდეგ აჭარის პირველი პირი ლევან ვარშალომიძე ასპარეზიდან გაქრა. არც ბათუმში ჩანდა აქამდე და არც ტელევიზიით შეუხსენებია აჭარისთვის თავი. როგორც ჩანს, ადგილობრივი არჩევნების წინ ნაცმოძრაობამ არიერგარდში გადასროლილი აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ავანგარდში გადაიყვანა და ვარშალომიძეც გამოჩნდა. იგი ნაციონალების გაკეთებულ საქმეებზე ალაპარაკდა და ამომრჩევლებთანაც მართავს შეხვედრებს. თავად არც დეპუტატობას აპირებს, არც მერობას, მაგრამ ნაცებს უჭერს მხარს. აჭარაში ოცნების შესუსტებულ პოზიციებზე ნაცების მძიმე არტილერიით შეტევა, მოქმედ ხელისუფლებას დიდ სიკეთეს არ უქადის. მით უმეტეს, რომ ოცნების ბათუმელი ლიდერები, როგორც რუსთაველი ბრძანებდა „ვამსგავსე მშვილდი ბედითი, ყმაწვილთა მონადირეთა, დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვთ, ხოცა ნადირთა მცირეთა."**

**ვნახოთ, კირნათელებისა და სრულიად საქართველოს პრობლემის მოსაგვარებლად ვინ რას გააკეთებს. ჯერჯერობით ყველას თარხან-მოურავი სჯობნის.**

**ა. კ.**

კანონი და კანონმდებლები

# გაითვალისწინებს პარლამენტი ამომრჩეველთა ნებას?

## ანტიდისკრიმინაციული კანონის საწინააღმდეგოდ 30 000 ხელმოწერა შეგროვდა




**გუშინ სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში ანტიდისკრიმინაციული კანონის საწინააღმდეგო 30 ათასი ხელმოწერის დეკლარირება შედგა, რომლის ინიციატორიც „საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზია".**

გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს წევრი, კოალიცია „ერთსულოვნების" თავმჯდომარე მიხეილ ანდღულაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, როდესაც საზოგადოების 30 ათასი ხელმოწერა საქართველოს პარლამენტში შევა, პარლამენტი ვალდებულია, საკანონმდებლო ინიციატივა განიხილოს და გაიტანოს კენჭისყრაზე 20 დღის განმავლობაში. მიხეილ ანდღულაძე ფიქრობს, რომ თვის ბოლომდე, არჩევნების შემდეგ რამდენიმე დღეში, მათ უნდა მიიღონ შესაბამის განხილვაზე დასწრების უფლება.

**„თავისი შინაარსით, ანტიდისკრიმინაციული კანონი ჰუმანური და ნორმალური კანონია, მაგრამ იქ ისეთი ქვეტექსტია ჩადებული, რომელიც ტრადიციული საზოგადოებისთვის მიუღებელია. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამოხატვის თვალსაზრისით, აღნიშნული საზოგადოების წარმომადგენლებს უპირატესობა ენიჭებათ და ისინი უთანაბრდებიან საზოგადოების ყველა სხვა ფენას. მათ უფლებამოსილება ეძლევათ, ყველა თავიანთი მოთხოვნა დაიკმაყოფილონ, ანუ უმსგავსო ქმედებების პროპაგანდირება განახორციელონ, რაც საზოგადოებისთვის მიუღებელია. ხოლო, როცა საზოგადოება მათ მიმართ აღშფოთებას ან მითითებას გამოავლენს, შესაბამისი დამსჯელი ღონისძიებები განხორციელდება. ყოველწუთიერად პატრიარქი ხომ არ გვასწავლის, რა უნდა ვქნათ, როგორ ვიმოქმედოთ?! პატრიარქმა ბრძანა, რომ არც ერთი მორწმუნე არ შეეგუება ამ კანონს, დანარჩენი უკვე ჩვენზეა დამოკიდებული და ეს არის ყოველდღიური ბრძოლა",** — აღნიშნა მიხეილ ანდღულაძემ და განმარტა, რომ საკანონმდებლო ინიცირებისთვის 30 ათასი ხელმოწერა საკმარისია. თუმცა, გაცილებით მეტი ხელმოწერა შეგროვდება რეგიონებშიც. ამის შემდეგ კი საერთო სახალხო პროტესტი დაიწყება, თუკი პარლამენტი ხალხის ნებას არ გაითვალისწინებს და არაადეკვატურად მიუდგება საკანონმდებლო ცვლილებებს.

ჩვენ დავინტერესდით, როგორია პარლამენტარების ახლანდელი განწყობა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისა და პატრიარქის გაფრთხილების შემდეგ.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების" ხელმძღვანელი გია ვოლსკი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ეს დელიკატური საკითხია და არასწორი გზაა, როცა ზოგიერთებს ამ თემის გამწვავების სურვილი აქვთ.

**„რა თქმა უნდა, ჩვენ განვიხილავთ მათ ხელმოწერებს, მაგრამ ვთვლი, რომ ამ კანონის შინაარსი ისედაც დაბალანსებულია, კონკრეტული პუნქტი დაემატა ამ კანონს, რაც ნიშნავს შეზღუდვას სამოქალაქო წესრიგისა და ზნეობის წინააღმდეგ და არ არღვევს სხვის უფლებებს. ამასთან დაკავშირებით ბევრმა არ იცის. არ მიყვარს კატეგორიულობა, მაგრამ ნუ ძაბავენ სიტუაციას. საპატრიარქოს პოზიციაა თუ არა 30 000 ხელმოწერის შეგროვება, ამაზე ნაჩქარევ დასკვნას ნუ გააკეთებენ, ნუ სწევენ ტემპერატურას",** — გვითხრა გია ვოლსკიმ.

ჩვენს შეკითხვაზე, არის თუ არა პარლამენტი ანტიდისკრიმინაციული კანონის გადასახედად, საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი თევდორაძემ აღნიშნა, რომ არ იცის, როგორ მოიქცევა პარლამენტი, მაგრამ გაცილებით მეტი პრობლემებია საქართველოში, ვიდრე ანტიდისკრიმინაციული კანონია. თუნდაც აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია, რის გამოც დიდი შანსია, მეტად დავშორდეთ აფხაზებს ან მეტად დავუახლოვდეთ.

For.ge-სთან საუბარში კონსტიტუციონალისტი ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ კონსტიტუციის თანახმად, 30 ათასი ამომრჩეველი ნებისმიერი კანონპროექტის ინიციატორი შეიძლება გახდეს. მათ შორის, შეიძლება პარლამენტში შევიდეს კანონპროექტი ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებასთან ან მიღებულ კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ამის სრული უფლება აქვთ მოქალაქეებს. უბრალოდ, საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტის მისაღებია.

**მანანა ნოზაძე**

# საქართველო გასამთლიანებელია!



# ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს!



შარშან გაზაფხულზე, როცა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას და სამოქალაქო სექტორში მოღვაწეობის დაწყებას აპირებდა, მის ამ ნათქვამს საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით გამოვეხმაურე (ბეჭდურ მედიაში არ გამოქვეყნებულა!), სადაც კატეგორიულად არ დავეთანხმე ბ-ნი ივანიშვილის ამ განზრახვას და პრემიერ ივანიშვილს მოვუწოდე, — გადაეხედა თავისი გადაწყვეტილებისათვის! აი, ამ მიმართვის ტექსტი:

**„სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის საქართველოს ნომერი პირველი პრობლემა, პრემიერ ივანიშვილის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა! ოკუპანტი რუსეთიც და მეგობარი დასავლეთიც „სათავისოდ“ აკვირდებიან სიტუაციას და პირადად ბიძინა ივანიშვილისგან ელოდებიან ახალ წინადადებებსა და სტრატეგიას ამ უმთავრეს საკითხთან მიმართებაში! ქართველებმა უნდა ვეცადოთ, რომ ორივეს ინტერესი „საჩვენოდ გამოვიყენოთ“ (ძალზე რთულია, მაგრამ უნდა შევძლოთ) და ჩვენს მიზანს მივაღწიოთ!.. ამიტომ, ოქტომბრის არჩევნებამდე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მაღალრეიტინგიანი პრემიერ-მინისტრის საზრუნავი და მიზანი უნდა გახდეს, მისი უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ობამასთან და რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან! სხვა, საქართველოში დღეს მომქმედი ვერც ერთი პოლიტიკური ფიგურა ვერ შეძლებს ამ მისიის შესრულებას, ეს ასეა და ამიტომ, ბიძინა ივანიშვილის „ვადამდელი გადაბარგება“ სამოქალაქო სექტორში — ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს!**

**ბ-ნო ბიძინა, თუ ღმერთი გწამთ, წასვლამდე გაარკვიეთ, ვის უტოვებთ ქვეყანას?!.. საქმე ის არის, რომ ამას წინათ მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა ლიდერმა განაცხადა, რომ „სიტყვა-სიტყვით“ ეთანხმება სააკაშვილის მიერ გაეროში წარმოთქმულ „სპიჩს“... რა არის იცით, პრეზიდენტ სააკაშვილის, ანუ სახელმწიფოს მეთაურის ნათქვამი სიტყვა, თანაც გაეროს ტრიბუნიდან იმდენად კონფრონტაციული, პროვოკაციული და პოპულისტური იყო, რომ მან გამოიწვია ორი მეზობელი სახელმწიფოს (სომხეთი, აზერბაიჯანი) მაღალი თანამდებობების პირების განმარტება საინფორმაციო საშუალებებით... ეს გახლდათ, მხოლოდ ფიარზე გათვლილი ქმედება, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა ქვეყანაზე ზრუნვასთან და რაიმე პოლიტიკურ სარგებელთან, პირიქით, პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის წინ, სააკაშვილმა შეგნებულად კიდევ უფრო დაძაბა ისედაც დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან, რაშიც მას ამ 9 წლის მანძილზე ლომის წილი მიუძღვის... რუსეთის ლანძღვა-გინებაზე ადვილი რა არის, საბაბი არ გვაქვს თუ რა?.. მაგრამ, რა მოგვიტანა ამან, იმედია უკვე ვხედავთ?! ჭკუა და გონებაა საჭირო, რაც ასე აკლია სააკაშვილს და მის ნაცფანებს და რის უქონლობამაც, ასეთ დღეში ჩააგდო საქართველო და ქართველები! მე ის მაწუხებს, რომ, მმართველი კოალიციის პარლამენტარებისა და მინისტრების ნაწილსაც “მოსწონებიათ პრეზიდენტის სულისკვეთება“ მის წარმოთქმულ სიტყვაში! ესე იგი, მმართველი კოალიციის ზოგიერთი ლიდერიც ვერ აცნობიერებს იმას, რომ ისინი უკვე ხელისუფლებაში არიან და მათ მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს, რომლებიც შეეხება საერთაშორისო მნიშვნელობის ურთულეს საკითხებს, მოწინააღმდეგე, ოპონენტი მხარე სიტყვა-სიტყვით „იმახსოვრებს“ და დასკვნებს აკეთებს!.. ბატონებო, სააკაშვილის და „ნაცმოძის“ მიერ არჩეული სტრატეგიით, ტაქტიკით და რიტორიკით ვაპირებთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?! თუ ჰო, მაშინ „კარგად ყოფილა“ ქვეყნის საქმე!.. მაგრამ, თუ არა, მაშინ, იქნებ გვითხრათ, რაში დაეთანხმეთ სააკაშვილს „სიტყვა-სიტყვით„?! განა, ახალი თქვა მან რამე, რაც თქვენ არ იცოდით?! განა, ვერ ხვდებით იმას, რომ მან თავისი „სპიჩით“ საქართველოს და თქვენს ხელისუფლებას კიდევ უფრო დაუმძიმა მოლაპარაკების ფონი ოკუპანტ სახელმწიფოსთან?! ნუთუ, ასეთი მიამიტები ხართ?! თუ, ერთ იდეოლოგიურ პლატფორმაზე ბრძანდებით სააკაშვილთან?! ჰოო.. მაშინ, საქართველოს საქმე ვერ ყოფილა კარგად!..**

**ბ-ნო ბიძინა, ხელისუფლებიდან წასვლას ვერ მოასწრებთ, რომ დაბრუნება მოგიწევთ!.. — კი, იმიტომ, რომ ეს საქართველოა, დიახ, წარსულში, აწმყოშიც და მომავალშიც დემოკრატიულად სამართავად რთული ქვეყანა გახლავთ, ჭკუის სასწავლებელი მაგალითები ბევრია და დროს არ წაგართმევთ. ასე რომ, უკაცრავად და, ნაჩქარევი იყო თქვენი 2 წლის წინანდელი განცხადება — პოლიტიკაში მოსვლის და იქიდან 2 წელიწადში წასვლის შესახებ, გამოუცდელობის ბრალი იყო ეგ და ძალიან გთხოვთ, ნუ გაჯიუტდებით, ამით საქართველო დაზარალდება და გაითვალისწინეთ ეს!.. აი ისინი, ვინც პრივატულ საუბრებში „გიწონებენ“ თქვენ ამ გადაწყვეტილებას, მერწმუნეთ, რომ მხოლოდ „ორიგინალური აზროვნებით“ სურთ, მოგაწონონ თავი, მით უმეტეს, რომ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა მათზე კი არა, მთლიანად თქვენზე გადმოვა!.. იმ დიდ საქმეს, რაც თქვენის მეთაურობით ქართველმა ხალხმა საძირკველი ჩაუყარა (2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება), მას ბოლომდე მიყვანა უნდა, ამისთვის საჭიროა, რომ თქვენ ქვეყნის პირველი პირი იყოთ!.. და არა ის, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში თუ სექტორში გადასვლის შემდეგ, მუდმივად მოგიწიოთ პასუხის გაცემა კითხვებზე, — თუ რა გავლენას ახდენთ მთავრობის მუშაობაზე, თავს ახვევთ თუ არა მათ თქვენს ნებას, „სატელეფონო სამართალს“ იყენებთ თუ არა და ა.შ... დიახ, ასე იქნება, ბრალდებები, ეჭვი, ცილისწამება! ამის დრო აქვს ჩვენს გალატაკებულ, დანაწევრებულ, უიმედობაში ჩავარდნილ ქვეყანას?!.. თქვენ ხომ კარგად იცით, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ქართველი ადამიანისთვის პიროვნულ მაგალითს, პირველ კაცს, თავკაცს! — დიახ, როგორც თქვენ ბრძანებთ, საქართველოში ევროპული საზოგადოების ასაშენებლად 20 წელი გვჭირდება, ეს კი უცებ, არ და ვერ იქნება.. ასევეა ის, რომ უცებ, ერთი ხელის მოსმით ვერ და არ გამოირიცხება დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნების როლი ქვეყნის მმართველობაში, ხოლო მისი ნაჩქარევი ჩანაცვლება-გადანაცვლება ძალიან ბევრ „გვერდით მოვლენებს“ გამოიწვევს!.. ბ-ნო ბიძინა, უკანასკნელ ათწლეულებში, საქართველოს და ქართველობას ბევრი “ექსპერიმენტი„ უნახავს და გადაუტანია ჰოდა, აღარ გაიმეტოთ ხალხი და ქვეყანა „საექსპერიმენტოდ“, ნუ გააცინებთ „მოყვარეს“ და ნუ გაახარებთ მტერს! ბ-ნო ბიძინა, დღეს საქართველოს და ქართული საზოგადოების ყველა ფენის მთავარი პრობლემაა უპასუხისმგებლობა! ჰოდა, მერწმუნეთ, რომ ასეთ სიტუაციაში ძალზედ სარისკოა ის, რაც ჩაიფიქრეთ, ამიტომ, მიეცით მაგალითი და როგორც პრემიერ-მინისტრმა აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე (უფრო სწორედ, დაიტოვეთ იგი), უახლოესი 3 წლის მანძილზე“.**

დიახ, შარშან შემოდგომაზე, ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა და პოლიტიკიდან „წასვლა“, უკვალოდ ვერ და არ ჩაივლიდა, იმდენად დიდია ამ ფაქტის მნიშვნელობა. თავად ივანიშვილი ამ მოვლენას არ თვლიდა პრობლემად, მიაჩნდა, რომ მის მიერ შექმნილ კოალიციას და ხელისუფლებას, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბერს პირწმინდად დაამარცხა „ნაცმოძრაობა“, არ შეიძლება რაიმე გართულებები ჰქონოდა „საერთო გუნდის“ შიგნით. პრემიერის პოსტის დატოვების შემდეგ, პირველი და ყველაზე მტკივნეული თავისი მასშტაბით გახლდათ, ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაქები და გაპრეზიდენტებული მარგველაშვილის „გადასხვაფერება“, — ორიოდე თვეში მათი ურთიერთობა მაქსიმალურად „გაცივდა“, რამაც ერთგვარი შოკი გამოიწვია კოალიციაში და საზოგადოებაშიც. ეს ფაქტი, აუცილებლად აისახებოდა და ასეც მოხდა, პრეზიდენტ მარგველაშვილის და ბ-ნი ბიძინას უპირველესი ფავორიტის და მემკვიდრის პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ურთიერთობებზეც. მოკლედ, ქართული სახელმწიფო და ახალი ხელისუფლება, სათავეში ახალგაზრდა ლიდერით აღმოჩნდა სხვადასხვა გამოწვევების პირისპირ, როგორებიცაა - სააკაშვილის მიერ დამახინჯებული კონსტიტუცია და მისი ცვლილებების აუცილებლობა, კოალიციური მმართველობის გამოცდილების არ ქონა, არაკონსტრუქციული და ჩასაფრებული საპარლამენტო ნაცუმცირესობა, რომელსაც ძლიერი დასავლური ლობი ჰყავს და სხვა. ანუ, როგორც ბიძინა ივანიშვილს წარმოედგინა, რომ მისი პოლიტიკიდან წასვლა ზიანს არ მოუტანდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მის მიერ დატოვებული „გუნდის და პიროვნებების ერთიანობას“, ასე მარტივი არ აღმოჩნდა, რამაც მალე იჩინა თავი, იგივე პრეზიდენტ მარგველაშვილის მაგალითზე. მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, რაც არ უნდა უფლებაშეკვეცილი იყოს, მაინც პრეზიდენტია და მას აუცილებლად გაუჩნდება სურვილი, რათა „თავისი, ცალკე გუნდი“ შექმნას, რასაც უკვე ვადევნებთ თვალყურს. გარდა ამისა, მაღალი ავტორიტეტის მქონე პირის „უდროო“ წასვლამ პოლიტიკიდან გამოიწვია, ჯერ კიდევ სუსტი და არაორგანიზებული პოლიტპარტიის „ქართული ოცნების“ მშენებლობის პროცესის შენელება, მისი წევრების გარკვეული დაბნეულობა და სხვა.

მე, არ ვაკნინებ ირაკლი ღარიბაშვილის პიროვნულ თვისებებს და მიმაჩნია, რომ იგი ძალზედ პერსპექტიული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება და პოლიტიკოსია, მაგრამ, აშკარად დიდი პოლიტიკური ტვირთი „აკიდა“ მას ბიძინა ივანიშვილმა, თანაც კოალიციური მთავრობის და ექსპარტიული (განსხვავებული მსოფლმხედველობის) საპარლამენტო უმრავლესობის პირობებში, რაც ურთულესი ამოცანების წინაშე აყენებს პრემიერ ღარიბაშვილს. ბუნებრივია და პოლიტიკურად გამართლებულიც, რომ პოლიტიკური კოალიციის წევრები, რომლებიც დღეს ერთად არიან ხელისუფლებაში, ფიქრობენ და აწყობენ გეგმებს იმ დროისთვის, როცა კოალიცია დაიშლება (თითქმის ყველა პოლიტკოალიცია იშლება, ასეთია ევროპული გამოცდილება).

აქედან გამომდინარე, ისინი ხელისუფლებაში და კოალიციაში ყოფნისასაც არ კარგავენ დროს იმისთვის, რათა საკუთარი პარტიების სახე წარმოაჩინონ, გააძლიერონ ძველი და გააბან ახალი, საჭირო პოლიტიკური კავშირები. ისინი, საკუთარი პარტიების და ლიდერების პიარითაც იქნებიან დაკავებულნი, პრივატულ შეხვედრებზე ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან და ეს ნორმალური, ევროპული პოლიტიკური კულტურის ნაწილია. ამ ორივე პარტიას ჰყავს თავისი ფავორიტი ლიდერები, რომლებისთვისაც ირაკლი ღარიბაშვილი განიხილება მომავალ პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რესპუბლიკელებიც და თავისუფალი დემოკრატებიც ბიძინა ივანიშვილის წინაშე თავს თვლიან პოლიტიკურად და პიროვნულად დავალებულად, აცნობიერებენ რა იმას, რომ ბ-ნი ივანიშვილის გარეშე ძვრასაც ვერ უზამდნენ სააკაშვილის რეჟიმს და ვერ გახდებოდნენ სახელისუფლებო პარტიები. მაგრამ, მათ შეიძლება მიაჩნდეთ, რომ — ირაკლი ღარიბაშვილის პიროვნების მიმართ ისინი არანაირ ვალში არ არიან!..

ჩვენი პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობის ნაკლი ის გახლავთ, რომ დამოუკიდებელი, სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტს ვაწყდებით, მათ ეშინიათ, რომ ეროვნული ინტერესების დაცვისას „ვინმემ ზედმეტი ქართული ნაციონალისტობა“ არ დააბრალოს, თორემ — „რას იტყვიან“ დასავლეთში (ზოგი მათგანისთვის მისაღებია ნაცმოძრაობასთან „კოჰაბიტაცია“) და ა.შ. აი, ამ პოლიტიკური კომპლექსებისგან გახლდათ თავისუფალი ბიძინა ივანიშვილი და იგივეს აგრძელებს ირაკლი ღარიბაშვილი, ამიტომაც, დასავლეთის გარკვეულ წრეებში იყო და არის მათდამი „უნდობლობის რაღაც მარცვალი“, თუმცა, ქვეყნის შიგნით, ხალხში მათი რეიტინგი მაღალი იყო და იმედია, რომ ახლაც არის, განსხვავებით ზემოთ ნახსენები პარტიების და მათი ლიდერებისა. ხალხი კი, ბრძენია და ყველაფერს სწორედ გრძნობს. ჰიპოტეტურად წარმოვიდგინოთ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახლებურ ჭრილში განიხილა და მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რასაც შეეწინააღმდეგებიან რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები?.. იმის გათვალისწინებით, თუ რა მხარდაჭერა აქვთ ამ პოლიტიკურ სუბიექტებს, პრემიერ ღარიბაშვილს მცირეოდენი შანსი ექნება, რომ მოიპოვოს დასავლეთის მხარდაჭერა, რადგანაც, ამ ეტაპზე დასავლეთის გარკვეულ გავლენიან წრეებში ამ ორი პარტიის ლიდერების პოლიტიკური „წონა“ უფრო მაღალია, ვიდრე პარტია „ქართული ოცნების“ და მისი ახლანდელი ლიდერის.

და თუ მაინც, პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი, პრეზიდენტ მარგველაშვილის და „ორპარტიული ტანდემის“ პირობებში გადაწყვეტს, რომ „მარტომ დაძლიოს“ და სასურველი გარდატეხა შეიტანოს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ამა თუ იმ საკითხში, სავარაუდოდ ირაკლი ღარიბაშვილი შეიძლება დამარცხდეს, ხოლო მისი მარცხი — ბიძინა ივანიშვილის მარცხიც იქნება!.. ეს, რომ არ მოხდეს, ამიტომაა საჭირო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება და პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გაძლიერება, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის, მისი ჩამოყალიბება მყარ იდეოლოგიურ პლატფორმაზე!...

დიახ, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ დასავლეთის გარკვეულმა გავლენიანმა წრეებმა არ დაიჯერეს ბიძინა ივანიშვილის და მისი მემკვიდრის ირაკლი ღარიბაშვილის ერთგულება (მათ სურდათ ისეთი „ყურმოჭრილი ერთგულება“, როგორიც სააკაშვილს და ნაცებს ჰქონდათ და აქვთ!), მათ ისეთი რეჟიმი სჭირდებათ თბილისში, რომელიც არათუ რუსეთთან ურთიერთობის „დალაგებაზე“ იფიქრებს, არამედ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი დიალოგზე წამოვა, მასთან კონტაქტზე უარს იტყვის სხვადასხვა საბაბით, რათა რუსეთს დაძაბულობა არ მოეხსნას კავკასიის მიმართულებით... დიახ, ეს ძალები ძალიან გაღიზიანებულები არიან იმით, რომ სააკაშვილის აგრესიული რიტორიკა რუსეთის მიმართ, ივანიშვილ-ღარიბაშვილმა შეარბილეს, ეს კი, ამ წრეების ინტერესებს და გეგმებს თავდაყირა აყენებს...

დღეს, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სისტემაში და შექმნილ რეალობაში, პრეზიდენტსა და პრემიერს შორის კონსტიტუციური უფლებამოსილებების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის შემთხვევაში, იმდენად მძიმე სახელისუფლებო დაპირისპირებაა მოსალოდნელი, რომ ეს უეჭველად გამოიწვევს მძაფრ პოლიტიკურ კრიზისს და ურთიერთქიშპობას სახელისუფლებო შტოებს შორის, რითაც შეიძლება ისარგებლოს „ნაცხროვამ“ და „პატრონების“ ძლიერი საფინანსო და სხვა მხარდაჭერით მათ გაუჩნდებათ შანსი ხელისუფლებაში „მობრუნებისა“... ამიტომ მიმაჩნია, რომ ივანიშვილ-ღარიბაშვილმა პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ უნდა გააძლიერონ, საჭიროა საზოგადოების ფართო ფენების, მრავალრიცხოვანი მომხრეების ხელახალი დარაზმვა (სანამ კიდევ მაღალია ბ-ნი ბიძინას რეიტინგი).

ადგილობრივი არჩევნები როგორც არ უნდა დამთავრდეს, უნდა დაიწყონ მზადება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის (სადაც, სიის სათავეში იქნება ბიძინა ივანიშვილი და პარლამენტის წევრი არჩეულ იქნება ქვეყნის პრეზიდენტად, როგორც ამას ითვალისწინებს საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუციის კლასიკური მოდელი), ან გვიან შემოდგომაზე, ან ადრე გაზაფხულზე, ამისთვის კი, კოალიციის შიგნით უნდა გაერთიანდნენ იმ პოლიტძალებთან, რომლებიც მათ არ უღალატებენ და საგარეო ინსტრუქციებით არ იხელმძღვანელებენ!..

უკრაინის გარშემო მიმდინარე უმწვავესი მსოფლიო გეოპოლიტიკური მოვლენების ფონზე, საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეული და ურთულესი საკითხი იყო და არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეს პრობლემა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ბ-ნი ბიძინას მხრიდან რაიმე პირადული მიზეზის მოყვანა, რომ — რადგან წავედი პოლიტიკიდან, დაბრუნება „არასწორი“ იქნებაო, — აბსოლუტურად მცდარი იქნება და ქართველი ხალხი ამას ვერ და არ მიიღებს!.. ნებისმიერი ერი იმიტომ მიილტვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, რომ თავის ტერიტორიაზე, დემოკრატიულ სახელმწიფოს პირობებში იცხოვროს ბედნიერად და ყველა იმ სიკეთეს ეზიაროს, რაც დამახასიათებელია ამ ტიპის საზოგადოებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ერმა საკუთარი ტერიტორია ვერ დაიცვა, ან ვერ დაიბრუნა და შემოიმტკიცა, რათა განახორციელოს მისი სუვერენული იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე, მაშინ, რაღა ფასი აქვს და ან კი, იმსახურებს ასეთი ერი — დამოუკიდებლობას და თავისუფლებას?! თანაც, დღეს, ქართველებმა თუ დავთმეთ საქრთველოს ტერიტორიის 20%, ხვალ შეიძლება „სხვა 20%-ის“ ჯერიც დადგეს!.. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი ძალისხმევა საქართველოს გამთლიანებას უნდა მოახმაროს, მხოლოდ მაშინ იქნება მთლიანად ვალმოხდილი ქვეყნისა და ერის წინაშე! ბ-ნი ბიძინას წინამძღოლობით სააკაშვილის რეჟიმისგან გავთავისუფლდით, მაგრამ საქართველო გასამთლიანებელია და დარწმუნებული ვარ, რომ მან საქართველოს პრეზიდენტის რანგში (რაც, ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გამყარების მძლავრი გარანტია იქნება) აქაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად!..

**ჯუმბერ კირვალიძე,**
**პოლიტოლოგი.**

# საყდრისის ირგვლივ დავა არ წყდება

**მას შემდეგ, რაც საყდრისის საბადოს დამცველებმა, სხვებთან ერთად, არქეოლოგი კონსტანტინე ფიცხელაური ძეგლის ხელყოფაში დაადანაშაულეს, For.ge-ს თავად კონსტანტინე ფიცხელაური დაუკავშირდა. მან გვთხოვა, განგვემარტა, რომ 11-კაციან კომისიასთან ერთად, პირადად მას საყდრისის საწინააღმდეგო დასკვნა არ გაუცია. მეტიც, აღნიშნულ დოკუმენტში მისი გვარი არ ფიგურირებს.**

**ჩვენ ვესაუბრეთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიის სამსახურის უფროსს კონსტანტინე ფიცხელაურს.**

**— 11-კაციან კომისიაში თქვენი გვარი არ ფიგურირებს, მაგრამ რა სტატუსით იკვლევდით საყდრისის ძეგლს?**

— იმ პერიოდში პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გახლდათ, რომელსაც საყდრისის ბორცვით დაინტერესებული ჯგუფების შეხვდა. ერთხელ და სამუდამოდ რომ მოხსნილიყო საყდრისთან დაკავშირებული კითხვები, პრემიერმა დაავალა მეცნიერებათა აკადემიას, მონიტორინგი ეწარმოებინა იქ ჩატარებულ სამუშაოებზე. სწორედ ამ პერიოდში დამევალა გარედან ამ ბორცვის მთლიანი შესწავლა, რის შესახებაც ჩემი ანგარიში წარდგენილია ოთხ უწყებაში, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, ფირმა „არ ემ ჯი გოლდ“-ში, ასევე, მეცნიერებათა აკადემიაში. ჩემს მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებზე დაყრდნობით ვაცხადებ, რომ სადაც გაკეთებული იყო 88 შურფი (მცირე სიღრმის გვირაბი) და სხვა კვლევები, არქეოლოგიური ნივთი ვერ ვიპოვე. არ ვამბობ, რომ იქ ვიმუშავე შახტაში, მაგრამ სადაც ვიმუშავე, კლდის ქანის მეტი არაფერი დაფიქსირებულა. ასე რომ, ჭორი, რომელიც ვრცელდება, თითქოს, მე ვიყავი რომელიღაც კომისიაში და თითქოს მოწერილი მაქვს ხელი დოკუმენტზე, რომ ძეგლს სტატუსი შეუწყდეს, აბსოლუტური სიცრუეა.

**— თქვენ ამბობთ, რომ საყდრისის საბადოს გარედან შესწავლა დაგევალათ. გამორიცხავთ, რომ თქვენი ხელმოწერა გამხდარიყო „არ-ემ-ჯი გოლდის“ მიერ დაინტერესებული ადამიანებისთვის იმის საშუალება, რომ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილისთვის არასწორი ინფორმაცია მიეწოდებინათ ამ ძეგლის თაობაზე? ცალკეულმა პირებმა ხომ არ გამოიყენეს ეს დოკუმენტი?**

— მე მარტო ბორცვზე არ მიმუშავია, მე ვიმუშავე ბორცვის სამხრეთითაც, სადაც არის ადრე შუასაუკუნეების ნამოსახლარი. ბორცვთან დაკავშირებით ჩემი დასკვნა ვერავისთვის ვერ გახდებოდა რაიმე გადაწყვეტილების საფუძველი, რადგან ცხრა წლის განმავლობაში გერმანულ-ქართული ექსპედიციების მიერ ანგარიშები წარდგენილია ჩვენთანაც და ამ ანგარიშების მიხედვით, მეცნიერულ წრეებს აქვთ ძალიან დიდი კითხვები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

თუმცა, ამის საპირისპიროდ, არსებობს არქეოლოგ ირინე ღამბაშიძის, ამ საბადოს ერთ-ერთი აღმომჩენის, ასევე, გერმანელი ექსპერტის განსხვავებული დასკვნები, რომლებიც ამ ობიექტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ირინე ღამბაშიძის თქმით, ამ ძეგლით დასტურდება, რომ საქართველოში ოქროს მოპოვება ეგვიპტეზე ადრე დაიწყეს.

**— მე არ ვიცი, გამოქვეყნებულია თუ არა ეს დასკვნა.**

— მე ჩავწერე ქალბატონი ირინე და მან ისაუბრა ამ ძეგლის უნიკალური მნიშვნელობის შესახებ.

— მე ოფიციალური დასკვნის შესახებ ვსაუბრობ, სადაც ექსპერტები წინადადებით შემოდიან და წერენ ასეთ რამეს, რომ აქ არქეოლოგიური კვლევის განახლებას აზრი არ აქვს, რადგან ახალს არაფერს მოგვცემს და, რომ „არ ემ ჯი გოლდმა“ უნდა განაგრძოს აქ მუშაობა, მაგრამ მკაცრი მონიტორინგის ქვეშ. ანუ, აქ იგულისხმება ქართულ-გერმანული ექსპედიციის წევრების მიერ ზედამხედველობის გაწევა, თუკი რაიმე ახალი არქეოლოგიური ფენა დადასტურდება, ან არქეოლოგიურ ნივთს წააწყდებიან. ასეთ შემთხვევაში, „არ ემ ჯი გოლდი“ ვალდებულია, შეწყვიტოს მუშაობა, დაფიქსირდეს არქეოლოგიური ფენა და შემდეგ ამ კომპანიამ ისევ უნდა განაგრძოს მუშაობა. სწორედ ეს არის დასკვნაში, რაც ამ ორი უცხოელის მიერაა გამოთქმული. ესაა მათი რეკომენდაცია.

რაც შეეხება საყდრისს, ასეთივე ძეგლი ძალიან ბევრია, ერთია ბულგარეთში, სადაც ჩვენს მიერ ჩამოყვანილი გერმანელი ექსპერტიც მუშაობდა, იქაც ანალოგიური სიტუაცია იყო და მან არქეოლოგიურად დააფიქსირა ყველაფერი, რათა არქეოლოგიური ძეგლი არ წაშლილიყო. ეს ყველაფერი ფიქსირდება, დოკუმენტირდება და შემდეგ ფირმა, რომელიც ოქროს მოპოვებაზე მუშაობს, ისევ აგრძელებს მუშაობას. ეს ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაშია მისაღები. ის, რომ საყდრისი „უძველესი“ მაღაროა, დადგენილი არ არის თარიღით და იმ თარიღს, რასაც გვაძლევენ (იმავე ქალბატონი ირინე ღამბაშიძის ექსპედიციიდან გამომდინარე), მეცნიერები ვერ დავეყრდნობით, რადგან ის თარიღი, რომელიც აღებულია ვითომდა ე.წ. ფენიდან, არ შეიძლება იყოს ამ შახტის და მაღაროს დამთარიღებელი. ის კადრები, სადაც ქალბატონი ირინე მთელი სიმაღლით დგას, ეს არ არის ის უძველესი მაღარო. ეს არის 80-იან წლებში ჩვენი გეოლოგების მიერ გაყვანილი შახტები. არადა, მათი თქმით, ეს გახლავთ უძველესი ოქროს მაღარო, რომელიც თურმე ეგვიპტეს ამარაგებდა ოქროთი.

რაჭის მთიანეთში რომ აბრძანდეთ, ასეთი მაღაროები ძალიან ბევრია. სადაც ადამიანის ხელი ატყვია, ჩვენ რომ ძეგლად გამოვაცხადოთ, მაშინ მთელი საქართველო უნდა იყოს არქეოლოგიური ძეგლი. აქ საუბარი გვაქვს უძველეს ოქროს მაღაროზე, ამ სახელწოდებასთან გვაქვს პრობლემა, თორემ გამორიცხული არ არის, მანდ სპილენძი მოიპოვებოდეს.

**— გერმანელი მეცნიერი თომას შტოლნერი რატომ აცხადებდა ამ ძეგლს უძველეს ოქროს მომპოვებელ საბადოდ და ქართული ძეგლის გადარჩენას რატომ ითხოვდა?**

— სამეცნიერო წრეებში არსებობს ჯანსაღი დავა. არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ შევხვედრივარ სიტუაციას, რომ ეს დავა გადასულიყოს პირად დაპირისპირებაში. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ ხდება და არავინ ითვალისწინებს, რომ სხვას შეიძლება ჰქონდეს სულ სხვა აზრი. ძალიან ბევრი კითხვა მაქვს მათ კვლევასთან დაკავშირებით და არა მარტო მე. ეს სამეცნიერო განხილვის თემაა. უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ, არ ულიარებიათ, რომ ეს არის უძველესი ოქროს მაღარო. შეიძლება, მანდ ადამიანის კვალიც იყოს და ემჩნეოდეს, ადამიანს სამუშაო ჩატარებული ჰქონდეს ამა თუ იმ პერიოდში, მაგრამ ეს ვერ ადასტურებს და ვერც ეს ექსპერტები ვერ ადასტურებენ, რომ ეს არის უძველესი ოქროს მაღარო.

**— ბულგარელი და გერმანელი მეცნიერები ხომ თავად „არ-ემ-ჯი გოლდმა“ ჩამოიყვანა? გავრცელებული ინფორმაციით, ისინიც ადასტურებენ პრეისტორიული მაღაროს არსებობას.**

— ისინი „არ ემ ჯი გოლდს“ არ ჩამოუყვანია, არამედ ჩვენმა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ ჩამოიყვანა, ნიკოლოზ ანთიძის მეთაურობით. „არ ემ ჯი გოლდს“ სრული უფლება ჰქონდა, მარტში, როდესაც მან აიღო ნებართვა აქ სამუშაოს გაგრძელებაზე, ბორცვი მთლიანად დაენგრია. თუმცა, სააგენტოს მოთხოვნით, ეს შეჩერდა, სანამ უცხოელი ექსპერტები რეკომენდაციებს არ დადებდნენ. უცხოელი ექსპერტების ვალდებულებაში არ შედიოდა წარსული კვლევების შეფასება ან ახალი სამეცნიერო დასკვნების დადება, მათ უბრალოდ, რეკომენდაცია უნდა გაეწიათ, როგორ მოვიქცეთ, როგორ შევინარჩუნოთ, თუ ეს არის ძეგლი და როგორ განაგრძოს „არ ემ ჯი გოლდმა“ მანდ მუშაობა?

**— თქვენ ემხრობით, რომ „არ ემ ჯი“-მ აქ მუშაობა განაახლოს და დაინგრეს ძეგლი? სხვათა შორის, თანამდებობაზე თქვენს დანიშვნას საყდრისთან დაკავშირებულ დასკვნას უკავშირებენ.**

— ჩემს თანამდებობაზე დანიშვნას არანაირი კავშირი არ აქვს, რომ მე საყდრისთან ვიმუშავე. ეს ჩვეულებრივად მოხდა. ჩემი ასაკის არქეოლოგი, სამწუხაროდ, არავინ არის. სააგენტომ და მისმა გენერალურმა დირექტორმა გადაწყვიტეს, პრეროგატივად გაეხადათ არქეოლოგია და ეს დარგი წამოეწიათ. ამიტომ შემომთავაზეს არქეოლოგიური სამსახურის უფროსობა, რასაც დავთანხმდი.

**— როდის შემოგთავაზეს თანამდებობა?**

— მაისის დასაწყისში. სხვათა შორის, საქართველოში „ბი-პი“-ს ნავთობსადენის გაყვანის შედეგად ძალიან ბევრი არქეოლოგიური ძეგლი გადაკვეთა ამ გაზსადენმა. „ბი-პი“-მ დააფინანსა არქეოლოგიური გათხრები, საფუძვლიანად შეისწავლეს ცალკეული ობიექტები და შემდეგ მთლიანად აიღეს ეს ობიექტები, რათა „ბი-პი“-ს გაეგრძელებინა მუშაობა. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ საყდრისი არქეოლოგიური ძეგლია, მაშინ რატომ არ ვიღებთ ხმას, რომ „ბი-პი“-მ ასეთი ძეგლები დაანგრია და გააგრძელა მუშაობა? არსებობს კიდევ ბევრი ძეგლი, თუნდაც, დავით გარეჯამდე უდაბნოში, საგარეჯოდან 17 კილომეტრში — უდაბნო-1, უდაბნო-2, უდაბნო-3, სადაც გერმანელ არქეოლოგებთან ერთად ათწლიანი პროექტის განმავლობაში, გავთხარეთ დიდი ნაწილი. ასეთი ძეგლი ამიერკავკასიაში შეიძლება არც კი მოიძებნოს, თავდაცვითი ციტადელის კედელი მარტო ოთხი მეტრი სიგანისაა, რომელიც დღესდღეობით საერთოდ მიგდებულია და მას არანაირი ყურადღება არ ექცევა. ინგრევა თვალსა და ხელს შუა. ამაზე ხმას არ ვიღებთ და ამ რაღაც ბორცვის გამო — საყდრისზე ბევრ ენერგიას ვხარჯავთ.

კონსტანტინე ფიცხელაურის განცხადების საპასუხოდ, საყდრისის ერთ-ერთი მცველი, ჟურნალისტი **ნინო მიქიაშვილი For.ge-სთან** საუბარში აცხადებს, რომ კონსტანტინე ფიცხელაური ერთ-ერთი მათგანია, ვინც, ნებით თუ უნებურად ხელს უწყობს საყდრისის დანგრევას. მართალია, იმ 11-კაციან კომისიაში უშუალოდ ფიცხელაური არ ყოფილა და იქ იყვნენ პაატა გაფრინდაშვილი, ბესარიონ მაცაბერიძე (ამ ორმა ხელი არ მოაწერა დასკვნას), გურამ ფირცხალავა, ომარ ქუცნაშვილი, დავით ლომიტაშვილი, ლალი ახალაია და სხვები, მაგრამ ის რომ, საყდრისში არის სპილენძი და უფრო მეტი ოქრო, ამას ბულგარელი და გერმანელი მეცნიერების დასკვნაც ადასტურებს, რომელიც ნინო მიქიაშვილმა თავად ნიკოლოზ ანთიძის უწყებიდან გამოითხოვა.

**„ხელთ მაქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ უცხოეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტების შუალედური ანგარიშის ოფიციალური თარგმანი, რომელიც ერთი-ერთზე ემთხვევა აქამდე გავრცელებულ არაოფიციალურ თარგმანს. საყდრისის მაღაროს უნიკალურობა და ის, რომ ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიციის კვალი წაშლილია, დადასტურებულია უცხოელი სპეციალისტების: ბულგარელი გეოლოგის, ვენელინ ჟელევ ჟელევისა და გერმანელი არქეოლოგის ალბრეხტ იოკენჰოველის მიერ მომზადებულ შუალედურ ანგარიშში, სადაც იკითხება: „თითქმის წაშლილია ქართულ-გერმანული ექსპედიციის არქეოლოგიური გათხრების კვალი... აშკარაა ადამიანის კვალი 27-28 მეტრის სიღრმეზე და მადნის (სპილენძი-ოქრო) მოპოვებასთან დაკავშირებით. დასკვნა ნათელია — იქ ნამდვილად ხორციელდებოდა მადნის მოპოვება... “,** — აცხადებს ნინო მიქიაშვილი.

მასვე მოეპოვება ბულგარელ გეოლოგთან - ვენელინ ჟელევ ჟელევსა და გერმანელ არქეოლოგ — ალბრეხტ იოკენჰოველთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც მეტად საგულისხმო პუნქტებია. კერძოდ, უცხოელი სპეციალისტები ვალდებულნი არიან, გაითვალისწინონ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შენიშვნები და რეკომენდაციები. ჟურნალისტის აზრით, აშკარაა, როგორი „რჩევების და რეკომენდაციის“ გათვალისწინების წინაშე დადგებოდნენ უცხოელი სპეციალისტები, რადგან ნიკოლოზ ანთიძის პოზიცია საყოველთაოდ ცნობილია. უფრო კონკრეტულად, 2014 წლის 5 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში იმ პირთა სიაც არის ჩამოთვლილი, ვისი რეკომენდაციების გათვალისწინებაც ევალებოდათ უცხოელ სპეციალისტებს — პაატა გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ფიცხელაური, ლალი ახალაია და მანანა ვარძელაშვილი. მათგან ახალაიამ საყდრისის დანგრევას ხელი მოაწერა. ის იყო იმ 11-კაციანი კომისიის წევრი, რომლის დასკვნაზე დაყრდნობითაც კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ საყდრისს მოუხსნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ნინო მიქიაშვილი აცხადებს, რომ საყდრისში რვა ტაძარი დაინგრა, რომლებიც მდებარეობენ კერძო კომპანიის სალიცენზიო ტერიტორიაზე, იქ, სადაც ისმის აფეთქებების ხმა.

**„სააგენტოში რა პასუხი აქვთ ამ დანგრეულ ტაძრებთან დაკავშირებით, რას აპირებენ და საერთოდ, იციან თუ არა მათი არსებობის შესახებ, ეს არ ვიცი“,** — ამბობს ჟურნალისტი.

**მანანა ნოზაძე**



## ინფორმაცია

### გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სამინისტროსა და კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა.**

**მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და იმ კომერციული ბანკების ხელმძღვანელებმა, რომლებიც ჩაერთვებიან სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.**

**სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის თაობაზე მოლაპარაკებები საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა კომერციულ ბანკთან მიმდინარეობდა. საბოლოოდ, პროგრამაში ჩართული ბანკების სია ასეთია: „საქართველოს ბანკი“ „თი-ბი-სი ბანკი“, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ბანკი „რესპუბლიკა“, „ბაზისბანკი“, „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“, „კორსტანდარტბანკი“, ბანკი „ქართუ“, „ინვესტბანკი“, „ხალიკბანკი საქართველო“, „ლიბერთი ბანკი“, „პროკრედიტბანკი“, „პრივატბანკი“ და „პროგრესბანკი“.**

**ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი მოიცავს პროგრამის ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში მოხდება მეწარმეებისთვის კრედიტის გაცემა, რომლის საპროცენტო განაკვეთის ათი პროცენტის თანადაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს. კრედიტის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემული კრედიტის მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 150 ათას დოლარს, ხოლო მაქსიმალური — 2 მილიონ აშშ დოლარს.**

**ახალი სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწყებენ. პროგრამის განსახორციელებლად 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 46 მილიონი ლარია გამოყოფილი.**

# საუკეთესო სენით შეპყრობილი წესების დამრღვევი კაცი

**— როგორც არაერთი დიდი შემოქმედის, ლევან ცუცქირიძის ცხოვრების განვლილი გზაც მისი კაცობისა და ნიჭის შეუსაბამო იყო, თუმცა კი, მიუხედავად ამისა, ყველაფერს, რასაც მან ხელი შეახო, უზადო ხელოვანის მადლი სცხია. მის პალიტრას, ფერს, ხაზს, უბრალო წვრილმანსაც კი ძალდატანების ნასახი არ ამჩნევია. იგი იმ სილაღით და თავისუფლებითაა გამორჩეული საკუთარი მხატვრული სამყაროს შექმნაში, რომელიც მხოლოდ ღვთით კურთხეულ ხელოვნების ბუმბერაზთა ხვედრია,** — ეს გახლავთ ცნობილი მწერლის **გივი შახნაზარის** მცირე ექსკლუზიური ინტერვიუ, რომელიც ცნობილი ქართველი ფერმწერისა და გრაფიკოსის ნამუშევართა ალბომის პრეზენტაციის დაწყებამდე ჩამოვართვით. ამ დიდებული წიგნით მობილური კავშირგაბმულობის ლიდერი კომპანია **მაგთი** საქართველოს ხელოვნების ისტორიაში მასშტაბითა და ხარისხით უპრეცედენტო პროექტს აგრძელებს, რომლის ფარგლებში ბატონ **ლევან ცუცქირიძის** შემოქმედების ამსახველი გამოცემა რიგით მეთოთხმეტეა.




დიდებულ გამოცემაში თავმოყრილია ჭარმაგი შემოქმედის სამასორმოცდაათზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, თავად ალბომი კი ხუთ თავადაა დაყოფილი: ფერწერა, ძველი და ახალი აღთქმა, გრაფიკა, წიგნის გრაფიკა და თავსართები. მხატვარს დასურათებული აქვს შოთა რუსთაველის, იაკობ ცურტაველის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სხვა დიდი ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედების მარგალიტები.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ მანამდე კომპანიის ხელშეწყობით გამოიცა დიდებულ ქართველ შემოქმედთა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიშ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემო გოცაძის, ჯიბსონ ხუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარ ჩხარტიშვილის, ემირ ბურჯანაძისა და ბიძინა ავალიშვილის ნამუშევართა ალბომები.

ლევან ცუცქირიძის შემოქმედება, მისი ფერწერა და გრაფიკა, თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების განუყოფელ ნაწილად დიდი ხანია იქცა, შვიდფერი მუზის ერთგული რაინდი კი იგი გასული საუკუნის შუა ხანიდან გახდა.

**„1970-იანი წლების ბოლოს სამხატვრო აკადემიის ფოიეს კედლებზე ჯერ კიდევ ეკიდა ლევან ცუცქირიძის ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისთვის“, როგორც აკადემიის ყოფილი სტუდენტისა და ასპირანტის მხატვრული ოსტატობისა და ნოვატორული აზროვნების ნიმუში. ამ ილუსტრაციებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, ავტორის გაბედულობას აღნიშნავდნენ, რომელმაც შეძლო კანონების დარღვევა და სრულიად ახლებურად გადაწყვიტა ამოცანა. ზოგი აკრიტიკებდა და ზოგიც აღფრთოვანებით ამბობდა: „რუსთაველის გმირები გააშიშვლაო“. ცუცქირიძის პედაგოგი, პროფესორი სერგო ქობულაძე სტუდენტის შესახებ შენიშნავდა: „წესებს არღვევს, მაგრამ კარგად გამოსდისო“,** — წერს ალბომის შესავალ სიტყვაში ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ქეთევან კინწურაშვილი.**

ალბომის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსულმა ქალბატონმა ქეთევანმა ისიც აღნიშნა, რომ მისი დიდი ხნის ოცნება ახდა, ბატონი ლევანის წიგნზე მუშაობის პატივი ერგო და ისიც დასძინა, რომ თავს დატეხილი არაერთი ქარტეხილის მიუხედავად, ბატონ ლევან ცუცქირიძეს საკუთარი პრინციპებისთვის არასდროს უღალატია.

მხატვრის შემოქმედებასა და მასთან მეგობრულ ურთიერთობაზე დიდი სითბოთი და იუმორით ილაპარაკა არქიტექტორმა **ვახტანგ დავითაიამ.**

— ლიტერატურის ინსტიტუტში ბატონი ლევანის ნამუშევართა მორიგი გამოფენა იმართებოდა და ჩემი დახატული შენი პორტრეტი მოიტანეო, მითხრა. ვერნისაჟზე მივედი, ნამუშევრებს ჩამოვუარე, ჩემი პორტრეტი ვერ ვნახე, მერე კი რას ვხედავ — აგერ ისიც, ფურშეტის მაგიდასთან არ ჰკიდია! „შენ მაგაზე არ იდარდო, ეს, რომ იცოდე, ყველაზე საუკეთესო ადგილია, ბევრი შეიძლება დარბაზში არ შევიდეს, აქ კი ყველანი მოვლენო“, დამამშვიდა ბატონმა ლევანმა.



მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ერთხელაც დამირეკა, ვმუშაობ, შემომიარე, ნახე, ხომ არაფერს ვაფუჭებო. მივედი, სამი ნახატი მაჩვენა, ერთ-ერთზე ყმაწვილს ხელში ვარდი ეკავა, რაც არ მომეწონა და ვუთხარი კიდეც. დააკვირდა, მართალი ხარო, მითხრა, ფუნჯი აიღო და გადაახატა უცბად. მას შემდეგ ეს თქმა დასჩემდა — გამოიარე, ნახე, ხომ არაფერს ვაფუჭებო.

ბატონი ლევანი ჩემი პედაგოგი იყო, მის გარეშე რა ვიქნებოდი, კაცმა არ იცის. მე-20 საუკუნის ქართული მხატვრობა მის გარეშე წარმოუდგენელია, მისი ნამუშევრები წარსულ საუკუნეებსაც ეკუთვნის და მომავალსაც. მისი წერა ხატვაა — დილას ამით იწყებს და დღესაც ამით აღამებს.

— გასული საუკუნის 50-იანი წლები ჩემი თაობის მხატვრებისთვის იმით იყო ნიშანდობლივი, რომ ნამუშევრებში სიუჟეტის შემოტანა მხატვრობაში ლიტერატურის შემოჭრად ითვლებოდა, ამიტომაც ამის გაკეთებას ვერიდებოდით, — თქვა საღამოზე სიტყვით გამოსვლისას მხატვარმა **თემო გოცაძემ.** — ბატონ ლევანის ნამუშევრებში კი ეს ხერხი მანამდე არსებულიდან პრინციპულად განსხვავდებოდა. იმ დროს მან ის ნიუანსები შემოიტანა, რომლებიც დღესდღეობით ასე გვაკლია. ის საქმე, რომელსაც დღესდღეობით კომპანია მაგთი აკეთებს. კიდევ ერთხელაა იმის მანიშნებელი, რომ ის საუნჯე, რაც ქართველმა მხატვრებმა მე-20 საუკუნეში შექმნეს, უახლოეს მომავალში ბინას ახალ მუზეუმში დაიდებს, სადაც ბატონ ლევან ცუცქირიძის ნამუშევრები ღირსეულ ადგილს დაიკავებენ..

კოლეგის ეს ნათქვამი სრულად გაიზიარა მხატვარმა **გივი თოიძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ კომპანია მაგთის მოღვაწეობა ეროვნული სახვითი ხელოვნებისთვის ჭეშმარიტად ფასდაუდებელია.

— ის ტკბილი დღეები მინდა მოვიგონო, რომლებიც მე და ლევანს 1954 წლიდან მოყოლებული გვაკავშირებს, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდით, სადაც იმ დროს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი ხვდებოდნენ და სადაც ერთ პატარა მყუდრო ოჯახად ვცხოვრობდით. ლევანი ჩვენშიც გამორჩეული იყო თავისი ნიჭითა და სითბოთი, მან სიყვარულითა და ემოციებით მხატვრობა დაიმორჩილა. 88 წლის დიდი მხატვარი დღესაც ასე ჭარმაგად რომ გამოიყურება, იმის მადლია, რომ საუკეთესო სენითაა შეპყრობილი, რომელსაც მხატვრობის სიყვარულის ერთგულება ჰქვია. იგი მუდამ უფროს-უმცროსის მეგობრობის მაგალითი იყო და ტკბილად მახსენდება იმ დაუვიწყარ დღეთა სიკეთე, როცა ეტიუდებზე თბილისის უბნებში ერთად დავდიოდით. იგი ბრწყინვალე გრაფიკოსია, უზადო კოლორისტი, რისი მაგალითები უხვადაა მის ნამუშევრებში.




მისასალმებელი სიტყვით გამოსულმა თბილისის სამხატვრო აკადემიის ყოფილმა რექტორმა **იოსებ ქოიავამ** ქართული სახვითი ხელოვნების სამჭედლოს კედლებში ბატონ ლევან ცუცქირიძის პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდი აღნიშნა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული მხატვრობის სწავლების საქმეში.

— იმ დროს გამოცემული თქვენი პატარა წიგნი დღესდღეობით ყველა მხატვრის სამაგიდო წიგნი უნდა იყოს. იმ წარჩინებული პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თქვენ, ბატონო ლევან, ისევე, როგორც სერგო ქობულაძეს, მერაბ მერაბიშვილს ყველა თაობის ქართველი მხატვრები უდიდეს მადლობას გიხდით, — თქვა ბატონმა იოსებ ქოიავამ.

— არ ვიცი, რომელი გრძნობაა ჩემში უფრო მეტი შენდამი, ჩემო ლევან — სიყვარული, პატივისცემა თუ თაყვანისცემა, რადგან ერთნაირად მხიბლავს შენი შემოქმედება, ადამიანური სითბო და სიდარბაისლე, — ამ სიტყვებით მოეფერა ამაგდარ მხატვარს ჩვენი სასიქადულო მწერალი **გურამ დოჩანაშვილი.**

ღვაწლმოსილი ხელოვანის კიდევ ერთ გამორჩეულ თვისებას, მორიდებულობას, ხაზი გაუსვა თავის გამოსვლაში ბატონმა **დავით ანდრიაძემ.**

— რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ბატონი ლევან ცუცქირიძე არც დამსახურებული მხატვარია, არც რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რაც დიდად დასანანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი არასდროს ყოფილა თავისი ბიოგრაფიის დამგეგმავი, თუმცა კი მთავარი მაინც ისაა, რომ დღეს ცხრა ათეულ წელს მიტანებული შემოქმედი თავის ნამუშევართა ამ შესანიშნავი ალბომით ქართულ მხატვრობაში კიდევ ერთ ღირსეულ ნიშან-სვეტს დგამს. კარგი მხატვრები ცოტანი არ არიან, თუმცა კი მხატვრობის არსის მსუბუქად ტარება მხოლოდ მათ შორის რჩეულთა ხვედრია, — თქვა ბატონმა დავით ანდრიაძემ.

**„მისი ნამუშევრები უჩვენებენ, რომ ლევან ცუცქირიძე ყველგან ეძებდა კომპოზიციის კანონებს — ცეკვაში, სიმღერაში, პოეტურ სტრიქონებში, ხელოვნებაში. ამის შესახებ ახლა უკვე მის მიერ დაწერილ თხზულებებშიც ვკითხულობთ. მაგალითად: „ცეკვა ხორუმი. საოცრად ამაღლებული ტემპერამენტი და შინაგანი რიტმი ცეკვის“ (ლევან ცუცქირიძე, „საგანი სივრცეში და მისი კონსტრუქცია“),“** — ამ სიტყვებით ამთავრებს დიდებული მხატვრის ნამუშევართა ალბომის შესავალ სიტყვას ქალბატონი ქეთევან კინწურაშვილი. ხელოვანის შემოქმედებისადმი ასეთი აღმატებული განწყობის მართებულობაში ამ საუცხოო გამოცემის ყველა მნახველი თავადაც დარწმუნდება.


„ღვთისმშობელი ყრმით“


„ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“

**ოთარ ტურაბელიძე**

**ვითარება**



**ალექსანდრე ანქვაბი** თანამდებობიდან გადადგა. დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებით რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 26 აგვისტოს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების დღეს ჩატარდება. რესპუბლიკის პარლამენტმა მოსახლეობას, პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა, წინასაარჩევნო პერიოდში გაწონასწორებულობა და ოპონენტებისადმი პატივისცემა გამოიჩინონ და ხელი შეუწყონ არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარებას.

ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას ანქვაბი, რომელსაც მიუხედავად გადადგომისა, მოსახლეობის მხარდაჭერა აქვს. ამ დროისთვის გამოკვეთილი ლიდერია ე.წ. „სახალხო მოძრაობის" ლიდერი რაულ ხაჯიმბა, რომელსაც კრემლის მხარდაჭერა მუდმივად ჰქონდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, ის ყველა არჩევნებში დამარცხდა. დადებს თუ არა ორ „საპრეზიდენტო" არჩევნებში დამარცხებულ რაულ ხაჯიმბაზე ფსონს კრემლი, უცნობია.

თავად აფხაზეთის „ექს-პრეზიდენტმა" თავის მიმართვაში აღნიშნა, რომ აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, შესაძლოა, დამღუპველი იყოს აფხაზეთისთვის. ანქვაბის თქმით, მისი, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლიანი მეთაურისთვის, მთავარია, სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება და სისხლისღვრის აცილება. სისხლისღვრის საფრთხე მაღალია, ვინაიდან ანქვაბის თქმით, ხელისუფლებისთვის იბრძვიან ძალები, რომლებიც არაფერზე უკან არ დაიხევენ. საკუთარ ამბიციებს თანამოქალაქეების სიცოცხლეს და აფხაზეთის თავისუფლებასაც შესწირავენ.

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე.

„საგანგაშოა, რომ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია გრძელდება. ოკუპაცია ზუსტად იმის ოკუპაციაა, რომ ოკუპანტი და ადგილობრივი პოლიტიკური რეჟიმი მოქმედებს სრულიად სხვა პრიორიტეტების და სხვა მიზნების შესაბამისად, ვიდრე ეს არის ქვეყნის სტრატეგია და ქვეყნის ინტერესი. ამიტომ ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენები საყურადღებოა. ჯერჯერობით, საგანგაშოს მას ვერ დავარქმევ, მაგრამ უკიდურესად საყურადღებოა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობა რეგიონში. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და ექსპერტებიც საუბრობენ იმის შესახებ, რომ ასოცირების ხელშეკრულების პროცესში, შესაძლოა, იყოს გარკვეული გართულებები.

დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო საზოგადოების მცდელობით, ჩვენი სწორი პოლიტიკით, შევძლებთ იმას, რომ რაიმე სერიოზული პრობლემები ქვეყანას აღარ დაემატოს. ის რაც ამ დღეებში აფხაზეთში ხდება, არის ოკუპაციის გამო, ოკუპაციის მიზეზებით, საქართველოს ამ ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის, პრაქტიკულად უპრეცედენტო და უკონტროლო გავლენით. ასე რომ, უნდა ვიყოთ მშვიდად, მაგრამ ფხიზლად", - განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ამბობს, რომ ანქვაბმა რამდენიმე საკითხზე პრინციპული პოზიცია დაიკავა, რაც რუსეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც მას თანამდებობის დატოვება მოუწია.

For.ge **მამუკა არეშიძეს** ესაუბრა.

# ჯიუტ აფხაზს მორჩილი აფხაზი ჩაანაცვლებს

**— როგორ განვითარდება მოვლენები აფხაზეთში? ანქვაბის გადაწყვეტილება დაკავშირებულია რუსეთის პრეზიდენტის დე ფაქტო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხებში თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის დამსახურებასთან?**

— რასაკვირველია. ანქვაბი ხელმძღვანელად რუსეთს არ აწყობდა, რადგან ის რამდენიმე პრინციპულ საკითხზე რუსეთს არ თანხმდებოდა, ისევე როგორც ბაღაფში. მაგალითად, ანქვაბი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ რუსეთს აემოქმედებინა ე.წ. სოხუმის სამხედრო გზა. თავის დროზე იმპერიის პერიოდში, მოგეხსენებათ არსებობდა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც დარიალზე გადმოდიოდა, არსებობდა ოსური სამხედრო გზა, რომელიც მამისონზე გადმოდიოდა და არსებობდა სოხუმის სამხედრო გზა, რომელიც დალის ხეობაში გამოდიოდა. რუსებს უნდოდათ ამ გზის აღდგენა, რისი წინააღმდეგი იყო ანქვაბი.

**— რა მოტივით ამბობდა ანქვაბი ამ გზის აღდგენაზე უარს?**

— მოტივაცია იყო ის, რომ გულრიფშის რაიონში დაუსახლებელ ადგილებს დაიკავებდნენ ჩრდილოეთ კავკასიელები, რაც პრინციპში იყო კიდევაც რუსეთის ჩანაფიქრში. დემოგრაფიული სურათის შეცვლის შეეშინდათ. მნიშვნელოვანი საკითხი იყო ასევე ის, რომ სტრატეგიული სიმდიდრის გაყიდვაზე რუსებმა ვერ დაითანხმეს როგორც ბაღაფში, ისე ანქვაბი. სტრატეგიული სიმდიდრე არის სანაპირო ზოლი. ბევრი შეძლებული რუსი დაინტერესებულია, შეიძინოს ეს სანაპირო ზოლი და ააშენონ იქ აგარაკები, გასართობი ცენტრები და ა.შ. სათავისოდ უნდათ. ანქვაბი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ის თვლიდა, რომ აფხაზეთი დაკარგავდა თავის სახეს და აფხაზებს ასეთ პირობებში არსებობის უფლებაც არ ექნებოდათ. ასევე იყო სანატორიუმების გაყიდვაზე ლაპარაკი, რომელსაც არ ყიდდა ანქვაბი და არც ბაღაფში ყიდდა. აქედან გამომდინარე, ეს ჯიუტი აფხაზი რუსებს უკვე არ აწყობდა.

**— თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ანქვაბი არ იყო პრორუსი...**

— რასაკვირველია, მაგრამ პრობლემებს უქმნიდა რუსეთს. ის რაც დღეს აფხაზეთში ხდება, არ ნიშნავს, რომ რუსეთმა შექმნა დღევანდელი სიტუაცია. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს რუსეთის ხელით არის გაკეთებული, მაგრამ მაინც მგონია, რომ ხაჯიმბამ დააჩქარა მოვლენები. ხაჯიმბამ ჩათვალა, რომ თუ თვითონ არ იქნებოდა ამ „სახალხო მოძრაობის" ლიდერი, მაშინ შეიძლებოდა სხვა გამოჩენილიყო და ვერ მოხვდებოდა ის პრეზიდენტის სავარძელში. მან რამდენჯერმე მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და ვერც ერთხელ ვერ მოიგო. ამიტომ, მან დააჩქარა ეს მოვლენები.

**— არის ვერსია, რომ რუსეთმა აფხაზეთის თემა გააქტიურა ასოცირების ხელმოწერის კონტექსტში. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მე მაინც მგონია, რომ ეს აზრი გზადაგზა ჩამოყალიბდა, ანუ იმ არეულობით, რომელიც სოხუმში მოხდა. ამ თემის მიზმა შესაძლებელი იყო. ფაქტია, რომ ამ სახალხო მღელვარების წინაპირობა იყო ხაჯიმბას პოლიტიკური აქტიურობა, ხელისუფლებისთვის ბრძოლა.

**— და ამ ფონზე გამოიყენა შექმნილი მძიმე სოციალური მდგომარეობა?**

— რასაკვირეველია. მაგრამ რომ არა მოსკოვის პოზიცია, ანქვაბი არ გადადგებოდა. ვიცი, როგორი პიროვნებაც არის და ვიცი, რომ ბოლომდე იბრძოლებდა. მით უმეტეს, რომ ის არის გუდაუთელი და გუდაუთა მის მხარეზე იქნებოდა, ხაჯიმბასგან განსხვავებით, რომელიც არის



ტყვარჩელელი და თავისთავად ისეთი დასაყრდენი აფხაზურ საზოგადოებაში, როგორც აქვს ანქვაბს, ხაჯიმბას არ აქვს.

**— დღეს რა შანსი აქვს ხაჯიმბას? მოსკოვი, რომელიც ქმნის პოლიტიკურ კლიმატს აფხაზეთში, არ გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ხაჯიმბა რამდენჯერმე დამარცხებულია „საპრეზიდენტო" არჩევნებში?**

— ხაჯიმბა იქნება ხელმძღვანელი იმ „სახალხო მოძრაობის", რომელიც ახლახან ჩამოყალიბდა და რასაკვირველია, მისი შანსები პრიორიტეტულია. მით უმეტეს, რომ ოფიციალური მოსკოვი მას ყოველთვის მხარს უჭერდა. ჯერ კიდევ 2003 წელს პუტინმა პირადად გადასცა მას ფეესბეს გენერალ-მაიორის სამხრეები და დაასახელა აფხაზეთის „პრეზიდენტის" პოსტზე. თუმცა, მას მერე რამდენჯერმე დამარცხდა ხაჯიმბა. მოსკოვში ალბათ ითვალისწინებენ ამას. თუ ანქვაბი იყო პროაფხაზი და რუსეთს თავის მეკავშირედ მიიჩნევდა, მაინც ცდილობდა, რომ დასავლეთთან შეექმნა ურთიერთობის ფორმატი. ხაჯიმბასთვის კი, სხვა საინტერესო არაფერია, გარდა მოსკოვისა.

**— შესაძლოა კრემლმა ფსონი სერგეი შამბაზე დადოს?**

— არა. იმიტომ, რომ სერგეი შაბმას საკმაოდ შელახული აქვს ავტორიტეტი აფხაზეთში და გარდა ამისა, ამ მოვლენებში ის წინა პლანზე არ იყო. იქ სხვებიც არიან ისეთები, ვინც მოინდომებს პრეზიდენტობას, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ ხაჯიმბას დღევანდელი გადასახედიდან უპირატესობა აქვს.

**— რუსეთის მიზანი, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მოხვდნენ ევრაზიულ კავშირში, ეს ახალი არაა, მით უმეტეს, რომ აქტიურად დაიწყო საუბარი რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით...**

— კრემლში მზადდება გეგმა იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რაღაცნაირი ფორმით მოხვდნენ ევრაზიულ კავშირში. რეფერენდუმს რაც შეეხება, როგორც ვხედავ, ხაჯიმბასაც ეს ჩანაფიქრი აქვს. ამ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, მას არ სჭირდება ქართველების ხმები. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში რეფერენდუმის შედეგი იქნება არასასიამოვნო. ზუსტად ამიტომ ახდენს პედალირებას ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევის საკითხზე. კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევაზე, ეს ეხება 26 ათას ქართველს, უკავშირდება რეფერენდუმის საკითხს. ხაჯიმბას სჭირდება, რომ ძალიან კარგი შედეგი მიიღოს რეფერენდუმის შედეგების მიხედვით, ამიტომ მას ქართველების ხმები არ სჭირდება.

**— ქართველებისთვის პასპორტების ჩამორთმევის შემთხვევაში, ახალი გენოციდის მომსწრენი გავხდებით?**

— ეთნოწმენდისთვის იქნება მომზადება, მაგრამ მოდით, შევხედოთ საკითხს ასეთი სახით, აფხაზური კანონის მიხედვით, მხოლოდ აფხაზი ეროვნების ადამიანს აქვს უფლება, რომ იყოს ორი ქვეყნის მოქალაქე. აფხაზეთში მაცხოვრებელ სხვა ეროვნების მოქალაქეს არა აქვს უფლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე გარდა აფხაზეთისა და რუსეთისა. ქართველების გადამწყვეტი უმრავლესობა არ არის რუსეთის მოქალაქე. თუ აფხაზეთის მოქალაქეობას ჩამოართმევენ უმოქალაქო ადამიანები რჩებიან. რუსეთის მოქალაქეობის მიღება უჭირთ, ამიტომ, ქართველების უმრავლესობა შეეცდება, რომ მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, მათ უკვე იქ არ დაედგომებათ. ეს არის ეთნოწმენდის შეფარული ფორმა. სახლებში შეიძლება არ მიუვარდნენ და მასიურად არ გამოყარონ, მაგრამ ასეთი ფორმით აიძულებენ, რომ წამოვიდნენ.

ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც აფხაზებსა და რუსებს შორის დაიდო, ფეესბეს ოფიცრებს, რომლებიც თადარიგში გავლენ, ეკუთვნით მიწები ან ბინები აფხაზეთის ტერიტორიაზე. ისინი არიან სპეცსამსახურის თანამშრომლები და მესაზღვრეები, რომლებიც მრავლად არიან დღეს აფხაზეთში. ძალიან ბევრი რუსი მესაზღვრე, რომელიც სხვადასხვა ადგილას მსახურობდა, სპეციალურად ჩამოვიდა აფხაზეთში საცხოვრებლად, რომ საბოლოო ჯამში, იქ მიეღო ბინა, რასაკვირველია - ქართველის ბინა. ნელ-ნელა მიმდინარეობს დემოგრაფიული სურათის შეცვლა. მართალია დიდი რაოდენობით არა, მაგრამ უკვე არის გალის რაიონში რუსი მესაზღვრეების დასახლება, არის რუსული სკოლა, რომელშიც რუსი მესაზღვრეების შვილები სწავლობენ.

**— თქვენი ინფორმაციით, დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე ვინ დომინირებს?**

— გალში მარტო ქართველები იყვნენ, მაგრამ ახლა აფხაზები და რუსებიც არიან. რაც შეეხება მთლიანად აფხაზეთს, ჩემი გათვლებით, უმრავლესობა არის სომხები, მეორე ადგილზე არიან ქართველები და შემდეგ აფხაზები. გალის რაიონი მომავალში გათავისუფლდება რუსი მესაზღვრეების ოჯახებისთვის.

**— ამ ფონზე ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა ანქვაბმა, ის ამბობს, რომ შესაძლებელია, აფხაზეთი არ იყოს...**

— მან კარგად იცის, რომ კრემლი, რომელიც ამდენ ფულს ხარჯავს აფხაზეთში, აფხაზებს თავის ნებაზე არ მიუშვებს. პირდაპირი შეჯახება აფხაზებთან არ აწყობს, იმიტომ კი არა, რომ ვერ მოუვლის, უბრალოდ შეფარულად უნდა მოხდეს. რუსეთს უნდა, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელი მათი ნების აღმსრულებელი იყოს. ლაპარაკი იმაზე, რომ აფხაზეთი რუსეთს შეუერთდეს დღეს კონტრპროდუქტიულია, იმიტომ, რომ აფხაზების უმრავლესობა ამას მხარს არ დაუჭერს. ამიტომ უნდათ, შეიცვალოს დემოგრაფიული სურათი, როცა აფხაზების ხმა არაფრის მანიშნებელი არა იქნება. დღესაც აფხაზების კონსოლიდირებული ხმა ვერ აჭარბებს სომხების ხმას, რომელთა 95 პროცენტი მომხრეა, რომ აფხაზეთი რუსეთს შეუერთდეს.

**— ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ?**

— სულ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ ისეთი სისტემა შეიქმნას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით გალის რაიონს მომხიბლავს გახდიდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა იმდენად რადიკალურად შეიცვალა, რომ დღეს ეს უკვე სიცოცხლისუნარიანი არაა. ახალი გეგმა, რომელიც ამ ექსტრემალურ სიტუაციაში უნდა შეიქმნას, ალბათ, ჯერჯერობით, გააზრების პროცესშია. მე ვერ ვხედავ საქართველოს ხელისუფლების კონსოლიდირებულ მოქმედებას, რომ აფხაზეთის მიმართ რაიმე კონკრეტეული ნაბიჯები გადაიდგას. საერთაშორისო თანამეგობრობაზე აპელაცია კარგია, მაგრამ პროდუქტიული არაა.

**თამთა ქარჩავა**

## დედამიწის ზურგზე

**ლუგანსკში მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს სამხედრო ნაწილი, მიდის ბრძოლები სასაზღვრო პოსტისთვის**



**შეტევის შემდეგ სამხედრო ნაწილი დანებდა. სამხედრო მოსამსახურეები სახლებში გაუშვეს. სასაზღვრო პოსტის შეტევა მიმდინარეობს 2 ივნისიდან. მესაზღვრეები ჯერჯერობით არ ნებდებიან. 3 ივნისის საღამოს უკრაინის არმიამ განაახლა სლავიანსკის საარტილერიო დაბომბვა. ქალაქ კრასნი ლიმანში ძალოვნებმა ცეცხლი გაუხსნეს საავადმყოფოს, 2 კაცი დაიღუპა.**

**სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა წარმოდგენა რუსეთზე მკვეთრად გაუარესდა 1 წლის განმავლობაში, მაგრამ ისრაელისადმი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ირანისადმი დამოკიდებულება კიდევ უარესია**

**ანალიტიკოსები გააოცა, რომ ნეგატივის დონე რუსეთთან დაკავშირებით გაიზარდა ჯერ კიდევ აქტიურ მოქმედებებამდე ყირიმში, სოჭის ოლიმპიადის და ხოდორკოვსკის გათავისუფლების ფონზე. სავსებით ნათელი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დამოკიდებულება გახდა უარესი, უწინარეს ყოვლისა, ჯაშუშური სკანდალების გამო. „ნიუს რუ.კომი"-ს მკითხველებს მიაჩნიათ, რომ მოსკოვმა უნდა განამტკიცოს ურთიერთობა დასავლეთთან, რადგაც ეს არ უნდა დაუჯდეს .**

**ბარსელონაში სტარტს იღებს დიდი შვიდეულის სამიტი — პირველად 17 წლის განმავლობაში რუსეთის გარეშე, რომელიც „დასაჯეს" ყირიმისა და უკრაინისათვის**



**დიდი შვიდეულის ორდღიანი სამიტი იხსნება ბარსელონაში ნაცვლად ადრე სოჭში დაგეგმილი დიდი რვიანისა. სამიტის მონაწილეები განიხილავენ საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკას, ვაჭრობასა და ენერგეტიკურ უსაფრთხოებას. შეხვედრის მთავარი თემები იქნება კრიზისი უკრაინაში და ურთიერთობანი რუსეთთან.**

**ჩინეთის ხელისუფლებამ აკრძალა, გაიხსენონ 1989 წლის მოვლენები ტიანანმენის მოედანზე, პეკინში გაძლიერდა უსაფრთხოების ზომები**

**25 წლის წინათ ჩინეთის ხელისუფლებამ მკაცრად დაარბია სტუდენტების საპროტესტო აქცია ტიანანმენის მოედანზე პეკინში. ტრაგედიის წლისთავის წინ დააპატიმრეს აქტივისტები, ჟურნალისტები კი გააფრთხილეს: „მგრძნობიარე თემას" არ შეეხონ, მაგრამ დისიდენტები პოულობენ საშუალებას შეახსენონ ადამიანებს ტრაგედიის შესახებ: ამოქმედდა ფრანგული კლასიკა, კანფეტები, პორნოგრაფია, და ყვითელი რეზინის იხვები.**

# ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელ საქართველოსთან ერთად!

**999 წელი იდგა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობდა საქრისტიანო. ათონის მთაზე, ივერონად წოდებულ ქართულ მონასტერში, ზღვის ტალღებზე მოლივლივე ხატი შენიშნეს ბერებმა. ხატმა არავინ მიიკარა. ზღვიდან ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის გამობრძანების პატივი ბერთა შორის სიწმინდით გამორჩეულ ქართველ მამა გაბრიელს ხვდა. იმ ადგილას, სადაც წმინდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, საკვირველმოქმედმა წყარომ ამოხეთქა, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ სულიერ და ხორციელ სნეულებათა მკურნალია.**

**თითქმის თერთმეტი საუკუნის შემდეგ მთელმა საქრისტიანომ ირწმუნა, რომ, როცა ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონის მთას დატოვებს, ეს გაფრთხილება იქნება იმისა, რომ მონასტერი ზღვის ქვეშ მოექცევა და**



**ბერებიც იქაურობას დატოვებენ, თავად საკვირველმოქმედი ხატი კი საქართველოში დაივანებს სამუდამოდ.**

Ეს უძველესი ისტორია იმიტომ გავიხსენე, რომ მკითხველისთვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა, თუ რამხელა სიწმინდეს ფლობს მართლმადიდებლური სამყარო და რისთვის გადაწყდა საქართველოს დედაქალაქში მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სავანის მშენებლობა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში.



ჩვენმა თანამემამულემ, მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო მომღერალმა ბატონმა **პაატა ბურჭულაძემ** გადაწყვიტა ეთავა ტაძრის მშენებლობა და თავის ათ მეგობართან ერთად დაეწყო სახსრების შეგროვება, რომელიც დაეხმარებოდა იდეის განხორციელებაში. **„ჩემი ათი მეგობარი კიდევ ათს შეიგულებდა თითო, თანხის პრობლემა არ გვექნებოდა და ტაძარს ავაგებდით საკვირველმოქმედი ხატის სახელზე, მაგრამ საქმე წინ არ იძვროდა, მიუხედავად ჩვენი მონდომებისა და სურვილისა. თანხის მოძიებაც პრობლემას არ წარმოადგენდა. პატრიარქის კურთხევაც გვქონდა, მაგრამ... სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა — რამდენიმე პირმა, ბიზნესმენმა, ძალზე სოლიდურმა ფირმამ კი არ უნდა ააგოს ტაძარი, როგორც ეს მიღებული იყო აქამდე, არამედ მთელმა ხალხმა, მთელმა ერმა და შემდგომში ყველა, ვინც ტაძრის ზღურბლს გადააბიჯებს, ეცოდინებათ, რომ ეს ტაძარი მათი აგებულია არამარტო ფინანსურად, არამედ სულიერადაც, მათი ლოცვა-კურთხევით“,** — განუცხადა ბატონმა პაატამ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ დარბაზში შეკრებილთ, რომელთა დიდი სურვილიც იყო მიეღოთ წვლილი ამ საუკუნის პროექტის განხორციელებაში.

გვაინტერესებდა თუ რა სტადიაზე იყო ამ დიდი კომპლექსის მშენებლობა და რით შეეძლო დახმარებოდა ამ კეთილშობილურ საქმეს თითოეული მათგანი. **„ეს იდეა ათი წლის წინათ დაიბადა და სწორედ მაშინ დამავალა უმწინდესმა და უნეტარესმა ჩავდგომოდი ამ მშენებლობას. რადგან ტაძარი ხალხს უნდა აეშენებინა, გადაწყდა რომ თითოეულ მსურველს სიმბოლურად ერთი ლარი შეეტანა ამ იდეის განსახორციელებლად. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საგანგებოდ ამ პროექტის განსახორციელებლად დაფუძნდა ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“. პირველი შემოწირულობაც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ გაიღო თავისი წინაპრების, საქართველოს მეფეებისა და პატრიარქების სახელზე. ყოველთვიურად ათასობით ადამიანი წევრდება ფონდში. დღეისათვის ტაძრის ფონდში თვეში დაახლოებით სამასი ათას ლარზე მეტი შემოდის. თავად ტაძარი ერთ-ერთი უდიდესი იქნება საქართველოში მოქმედ ტაძრებს შორის და სულ მცირედით ჩამორჩება სამების საკათედრო ტაძარს. სექტემბერში ტაძრის გადახურვა დასრულდება. რაც შეეხება კომპლექსს, აქ ჩაფიქრებულია კარიბჭის, პატრიარქის რეზიდენციის, ბერთა საცხოვრებლისა და საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ გამომდინარე ათონის მთის ტრადიციებიდან, ბერთა საცხოვრებლის ტერიტორიაზე მხოლოდ მამაკაცებს შეეძლებათ შესვლა. კარიბჭის მშენებლობა მომავალ კვირას იწყება. აქვე განთავსდება ავტოსადგომი. გაშენდება ზეთისხილისა და კედრის კორომი. თითოეული ძირი ხე თითო ოჯახზე იქნება გათვალისწინებული და მას ყველა მსურველი მოუვლის და გაახარებს. უკვე დარგულია ათას ძირზე მეტი ზეთისხილის ხე“,** — განაცხადა ბატონმა პაატამ.



მიზანშეწონილად ჩავთვალე ჩვენი მკითხველისთვის შეგვეხსენებინა, თუ როგორ შეეძლებათ მსურველებს თავისი წვლილის შეტანა ამ იდეის განხორციელებაში. ამ სავანის მშენებლობაში მონაწილეობა უდიდესი პატივია, მაგრამ ამავე დროს იგი სერიოზულ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. როგორც ბატონმა პაატამ განაცხადა, ყოველ მონაწილეს სამი უმთავრესი საქმის აღსრულება მოეთხოვება.

უმთავრესია **ლოცვა ტაძრის აშენებისთვის,** რადგან ნებისმიერი საქმე, მით უფრო ღვთის სახლის შენება შეუძლებელია უფლის შეწევნის გარეშე. მშენებლობის მონაწილემ დღეში ერთხელ მაინც უნდა წარმოთქვას ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტროპარი. მეორეა **მოწოდება მშენებლობაში გაერთიანებისთვის და მსურველთა გაწევრებაში დახმარება.** სწორედ ჩვენი ერთიანობა მიგვიყვანს საბოლოო მიზნამდე, რადგან უფალი ბრძანებს — **„სადაც ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მე ვარ მათ შორის“.** და მესამეც **თანხის გადარიცხვაა მშენებლობის ანგარიშზე.** ყოველთვიურად, ყოველმა მონაწილემ და მსურველმა უნდა გადარიცხოს სულ მცირე ერთი ლარი. თუ ვინმე ვერ შეძლებს, გულს ნუ გაიტეხს, მთავარია სურვილი ამ მშენებლობაში მონაწილეობისა. იგი მაინც სრულუფლებიანი წევრი იქნება ტაძრის მშენებლობაში, რადგან იმ ადამიანთა ანგარიშიდან გადანაწილდება თანხა მასზე, ვინც ერთ ლარზე მეტი შესწირა მშენებლობას.

რაც შეეხება თანხის ჩარიცხვას, როგორც ბატონმა პაატამ აღნიშნა, თანხის გადახდა არ ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით. საქართველოში მოქმედი ყოველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში გახსნილია ფონდ „ივერიისას“ ანგარიში **საიდენტიფიკაციო კოდი 404868318**. შემოწირულობის გაღების მსურველს შეუძლია მისთვის სასურველ ბანკში მხოლოდ ერთხელ მისვლა და ავტომატური გადარიცხვის მომსახურების ჩართვა, რის შემდეგაც მისი ანგარიშიდან ყოველთვიურად ჩამოიჭრება წინასწარ მითითებული თანხა. შესაძლებელია ნებისმიერი სატელეფონო ოპერატორიდან თვეში ერთხელ დარეკოთ **ნომერზე 0901777777, ზარის ღირებულება 1 ლარია.**

შეხვედრაზე ფონდის ხელმძღვანელმა გვაჩვენა ტაძრის მშენებლობის ამსახველი კადრები, კომპლექსის სრული მაკეტი. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ფონდის ვებგვერდის მეშვეობით **www.makhata.ge** თქვენ შეგეძლებათ პირდაპირ ეთერში თვალი ადევნოთ ტაძრის მშენებლობის პროცესს. ნებისმიერი ინფორმაციისათვის კი დაუკავშირდეთ ფონდ „ივერიისას“ ტელეფონის ნომერზე 240 24 45; 240 24 55 ან 214 04 84.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს კი საშუალება გექნებათ ორ კვირაში ერთხელ წაიკითხოთ ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სავანის მშენებლობა.

**ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისთვის სიამაყით თქმა — ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელ საქართველოსთან ერთად — ბრძანა დასასრულს ბატონმა პაატამ.**

**მამუკა ვაშაკიძე**



**P. S. ქართველ ბიზნესმენთა და მეწარმეთა მიწვევით ბატონი პაატა და ფონდ „ივერიისას“ წარმომადგენლები 13 მარტიდან 3 ივნისის ჩათვლით, ხვდებოდნენ ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მიღების მსურველებს: სს „ქართული ლუდის კომპანია“ (ზედაზენი); შპს აკადემიის ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა — რესპუბლიკური საავადმყოფო; შპს „ავერსი ფარმა“; სსიპ „სდსს სამსახური“; სს „სარაჯიშვილი“; შპს „ბარამბო“; შპს „ტკბილი ქვეყანა“; შპს „აქვა გეო“ (წყალი „სნო“); სსიპ „აღსრულების ბიურო“; შპს „მითანა“; შპს „სეზანი“; სს „ბუღალტრების ფედერაცია“; სს „ნატახტარი“; ჯორჯიენ უოთერ ენდ ფაუერი; ტოიოტა ცენტრი თბილისი; სს „ელიტ ელექტრონიქსი“; შპს „ავტოაგრეგატი“; შპს „თბილავიამშენი“; დიდუბის ბიზნეს-ცენტრი „დიდუბე პლაზა“; შპს „თაბე“ სამშენებლო მასალების კომპანია; შპს „ანა“; „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“; შპს „საგაიმპექსი“; კომპანია „ყაზბეგი“; მინერალური წყალი „ბორჯომი“; შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“.**

**ფონდში გაწევრების მსურველებმა სრული ინფორმაცია მიიღეს სასურველ კითხვებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფონდ „ივერიისას“ წევრები დიდი ხანია, გახდნენ, კვლავაც გამოთქვეს სურვილი ბოლომდე ემსახურონ ამ დიდ საშვილიშვილო პროექტის განხორციელებას.**

**მ. ვ.**

ფეხბურთი

# გზა არსაითკენ

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შვეიცარიაში ამხანაგური მატჩი წააგო არაბეთის გაერთიანებულ საემიროებთან — 0:1. მხოლოდ წაგებაში არაა საქმე: წაგების დროსაც შეიძლება დაინახო პოზიტიური, თუმცა არა იმ ნაკრებთან, რომელიც აზიის კონფედერაციის 5 საუკეთესო ნაკრებს შორის ვერ შედის და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 24 წლის წინ გასულა.**



ახლა ბევრი ლადო დვალიშვილისკენ გაიშვერს ხელს და განტევების ვაცად გამოიყვანს (რაც არაერთხელ მომხდარა), თუმცა პრობლემა უფრო დიდია, ვიდრე ერთი თუნდაც 100-პროცენტიანი გაცუდებული მომენტი. ფაქტია, საქართველოს ნაკრები ვერ პროგრესირებს, მაგრამ ვინ იცის, შესაძლოა, ზოგს აკმაყოფილებს ლიხტენშტაინთან 2:0 მოგება და ორ არაბულ ქვეყანასთან საბოლოო ჯამში პლუსში დარჩენა: საუდის არაბეთს ხომ 2:0 მოვუგეთ, საემიროებთან კი 0:1 წავაგეთ...

უკანასკნელ მატჩში საუკეთესო ფეხბურთელი ომარ აბდულრაჰმან ალ ამოუდი გახლდათ, რომელიც 22 წლისაა და აზიაში მართლაც ერთ-ერთ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. მას ზოგჯერ ისეთი ტრიუკები გამოსდიოდა, სამმეტრიან მონაკვეთში ორ კაცს ატყუებდა — პარტნიორებიც კარგად ეხმარებოდნენ, ბურთს სულ თავისუფალ ადგილას აძლევდნენ. შეიძლება ითქვას, თამაშს ეს ერთი ხუჭუჭა ბიჭი ალაგებდა.

რა შექმნეს ქართველებმა? ერთადერთი, კობახიძის ჩაწოდებაზე დვალიშვილის აცილებული უნდა გამოვარჩიოთ. გიორგი პაპავას შორიდან დარტყმულები არაზუსტი გამოდგა და საერთოდაც არაბებმა კარგად დაიჭირეს ბურთი.

იმედი, რომ საქართველოს ნაკრები შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე თამაშს შედარებით დახვეწს და მომზადებული შეხვდება ოფიციალურ მატჩებს, არ ჩანს. არანაირი პროგრესი არ შეიმჩნევა რაიმე სათამაშო კომპონენტში — ასეთ გუნდებს გაცილებით მეტი უნდა შეუტიო, წნეხში ამყოფო, თუმცა არ გამოდის...

**გიორგი შოთაძე**

ჩემპიონთა ლიგა

# სეზონის გუნდი: 18 ფეხბურთელიდან 7 „რეალიდანაა“

**UEFA-ს ანალიტიკოსთა ჯგუფმა ჩემპიონთა ლიგის 2013/14 წლების სეზონის 18 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა.**

**სიმბოლურ გუნდში ყველაზე მეტი, 7 წარმომადგენელი მადრიდის „რეალს“ ჰყავს. მე-2 ფინალისტი მადრიდის „ატლეტიკო“ 4 მოთამაშითაა წარმოდგენილი, ისევე, როგორც მიუნხენის „ბაიერნი“. „ბარსელონა“, „დორტმუნდი“ და „პსჟ“ კი თითო ფეხბურთელს დასჯერდნენ.**

**მეკარეები:** ტიბორ კურტუა („ატლეტიკო“), მანუელ ნოიერი („ბაიერნი“);

**მცველები:** დიეგო გოდინი („ატლეტიკო“), ფილიპ ლამი („ბაიერნი“), დანიელ კარვახალი („რეალი“), პეპე („რეალი“), სერხიო რამოსი („რეალი“);

**ნახევარმცველები:** გაბი („ატლეტიკო“), ანდრეს ინიესტა („ბარსელონა“), ტონი კროოსი („ბაიერნი“), ანხელ დი მარია („რეალი“), ლუკა მოდრიჩი („რეალი“), ჩაბი ალონსო („რეალი“);

**თავდამსხმელები:** მარკო როისი („დორტმუნდი“), დიეგო კოშტა („ატლეტიკო“), არიენ რობენი



(„ბაიერნი“), ზლატან იბრაჰიმოვიჩი („პსჟ“), კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“).

**მანუჩარ გიორგაძე**

ტრადიცია

# თელეთობა ქართული ჭიდაობის ახალმა არენამ დაამშვენა

**გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთს მემატიანე დედაქალაქის კარიბჭედ რაცხავს. სწორედ თელეთის ტერიტორიაზეა განთავსებული მე-12 საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც თამარ მეფის დროინდელი ორნამენტები ამშვენებს. ვახუშტი ბაგრატიონი თელეთის ეკლესიას სასწაულმოქმედს უწოდებდა, ილია ჭავჭავაძემ კი ტაძრის ძალას და მადლს ხაზი „კაცია-ადამიანში“ გაუსვა. „თელეთობა“ ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს აღინიშნება და უხნეს ქართულ სოფელში ტრადიციულად დიდძალი ხალხი იყრის თავს.**



წლევანდელი „თელეთობა“ კი ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ღია პირველობის მორიგი ეტაპით დაგვირგვინდა. ამ დღეებში თელეთში ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ ახალი, ღია ტიპის საჭიდაო არენა გახსნა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრის ნუგზარ ონიანის სახელი ეწოდა. ნუგზარ ონიანმა ნახევარსაუკუნოვანი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე ქვეყანას სპორტის სხვადასხვა სახეობაში არაერთი აღიარებული სპორტსმენი აღუზარდა (ოლეგ ლიპარტელიანი, ბესიკ ლიპარტელიანი, სოსო ლიპარტელიანი, დილარ ხაბულიანი, ბერდია გუგავა, აბესალომ და ოლეგ ზურაბიანები, ნაირა ხაბულიანი, ელეონორა და ნაირა ონიანები, ნუგზარ ჩარქსელიანი, ელდარ ქურასბედიანი და მრავალი სხვა).

აღსანიშნავია, რომ თელეთის ღია ტიპის საჭიდაო არენა რიგით მე-18-ეა, რომელიც ბიძინა ივანიშვილისა და ფონდ „ქართუს“ ხელშეწყობით ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გასული წლის მაისიდან მოყოლებული გახსნა. პირველ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით მთლიანობაში 70 ახალი ღია ტიპის საჭიდაო არენის აგებაა გათვალისწინებული.

თელეთში გამართულ ქართული ჭიდაობის საქართველოს ღია პირველობის ეტაპს არაერთი ცნობილი სპორტსმენი და სპორტული ჩინოვნიკი დაესწრო, მათ შორის — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე. ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო თელეთმა ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი ეროვნული ხანჯლითა და ნაბადით დააჯილდოვა. შეჯიბრება 5 წონით კატეგორიაში ჩატარდა. ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში დამაჯერებელი გამარჯვება საგარეჯოელმა ლევან მატიაშვილმა მოიპოვა. საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების წევრს მთავარ პრიზთან ერთად ფულადი ჯილდო — 250 ლარი და მძიმეწონოსანთა შეჯიბრებისთვის ტრადიციულად დაწესებული ჭედილაც გადაეცა. არაოფიციალური ჩათვლაში კახეთის რეგიონმა იპირველა. კახელმა ფალავნებმა 5-დან 4 ოქროს მედლის მოპოვება მოახერხეს.

**ჩემპიონთა გალერეა**

**60 კგ.** გიორგი მესაბლიშვილი (ახმეტა),

**70 კგ.** გიორგი კაციაშვილი (კასპი),

**80 კგ.** ალიკ ნანიევი (ლაგოდეხი),

**90 კგ.** გიორგი კობაიძე (ახალსოფელი),

**მძიმე წონა.** ლევან მატიაშვილი (საგარეჯო).

**როსტომ რაჭველიშვილი**

რაგბი

# ქალთა შვიდკაცას ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა



**7-8 ივნისს ნორვეგიის ქალაქ ბერგენში გაიმართება ფირა-აერის ქალთა რაგბი 7-ის ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონის გათამაშება. საქართველოს ქალთა ნაკრები ნორვეგიაში ორშაბათს გაემგზავრა, სადაც აგრძელებს მზადებას აღნიშნული ტურნირისათვის.**

**ქალთა ევროპის ჩემპიონატის გამართვა ორ ეტაპად იყო დაგეგმილი, მაგრამ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო ოდესის ეტაპი გაუქმდა.**

საქართველოს ნაკრები C ჯგუფში ჩეხეთის, პოლონეთისა და დანიის ქალთა ნაკრებების წინააღმდეგ იასპარეზებს.

საქართველოს ქალთა რაგბი 7-ის ნაკრები A დივიზიონში შარშან აღზევდა. მთავარი მწვრთნელის ჯაბა მალაღურაძის განცხადებით, გუნდის მიზანს დივიზიონში გამარჯვება და ადგილის ელიტურ თორმეტ საუკეთესო ნაკრებს შორის დამკვიდრება წარმოადგენს, მაგრამ მოსამზადებელ ტურნირებზე გუნდს ტრავმები დაუგროვდა და აქედან გამომდინარე, დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაც არ იქნება ურიგო შედეგი.

**ბეჟან დოლიძე**

კალათბურთი

# „გალამ“ ფინალი მარცხით გახსნა

**თურქეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის პირველი მატჩი წარუმატებელი გამოდგა მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაისთვის“. ქართველი კალათბურთელის კლუბი სტამბოლურ დერბიში „ფენერბაჰჩეს“ ესტუმრა და დიდი ანგარიშით – 70:89 დამარცხდა.**

მარკოიშვილმა მოედანზე 14 წუთი გაატარა და მისი მონაგარი 1 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა იყო. მანუჩარმა 2 ორქულიანი და 4 სამქულიანი ააცილა, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო.

დღეს ფინალური სერიის მე-2 მატჩს ისევ „ფენერბაჰჩე“ უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ჩოგბურთი

# ბალკანურ-ბალტიისპირული ნახევარფინალი

**საფრანგეთის ღია პირველობის მამაკაცთა ერთეულთა ტურნირის პირველი ნახევარფინალური წყვილი სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა და ლატვიელმა ერნესტს გულბისმა შეადგინეს. რეიტინგსიის მეორე ნომერ ჯოკოვიჩს სადიდსლემო ტურნირთაგან მხოლოდ „როლან გაროსი“ არ მოუგია, ბალტიისპირელმა გულბისმა კი კარიერის განმავლობაში პირველად გააღწია დიდი სლემის შეჯიბრებათა ნახევარფინალში.**

მეოთხედფინალში ჩერნოგორიული წარმოშობის კანადელი მილოშ რაონიჩის 7:5, 7:6, 6:4 დამარცხების შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „თავს მშვენივრად ვგრძნობ. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, რომლებმაც ბრწყინვალე ატმოსფერო შემიქმნეს. საფრანგეთის ღია პირველობის მოგება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. ყოველ კონკრეტულ მატჩზე მთლიანად კონცენტრირებული ვარ და საუკეთესო ჩოგბურთის ჩვენებას ვცდილობ. ბევრი ტურნირის ფავორიტად მიმიჩნევს, მაგრამ ყოველი მეტოქე დიდ წინააღმდეგობას მიწევს. გულბისს რაც შეეხება, წლევანდელ „როლან გაროსზე“ მან ფედერერსა და ბერდიხს მოუგო. ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ერნესტსს დამაჯერებლობა შემატა. ლატვიელს რომში მოვუგე და დამაჯერებლობა არც მე მაკლია, თუმცა ღა გულბისი მეტად საშიში ოპონენტია“.





ლატვიელმა ერნესტს გულბისმა კი მეოთხედფინალში ჩეხ ტომაშ ბერდიხს 6:3, 6:2, 6:4 სძლია და ნამატჩევს დაადასტურა, მიმდინარე „როლან გაროსზე“ თავისი საუკეთესო მატჩი რომ ჩაატარა: „პრაქტიკულად იდეალურად ვითამაშე. ფიზიკურად კარგად ვარ მზად, ამიტომაც ნებისმიერი ბურთის ასაღებად ვიბრძოდი. ნოვაკთან მომავალ შეხვედრას რაც შეეხება, ჩვენი წინა დაპირისპირებები უნდა დავივიწყოთ, რადგან ახლა ოპტიმალურ ფორმაში ვარ და უპრიანი იქნება, თუკი მხოლოდ ნახევარფინალზე ვიქნები კონცენტრირებული“.

ჩვენის მხრივ შეგახსენებთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ერნესტს გულბისის ნახევარფინალური პაექრობა ხვალ ჩატარდება.

**კობა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# სექსი და მუნდიალი

**მსოფლიოს ჩემპიონატის სტარტის წინ გერმანულმა სააგენტოებმა გულშემატკივართა შორის გამოკითხვა ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ 52 პროცენტს ურჩევნია ნაკრების თამაშის დროს ტელევიზორთან იყოს და შეხვედრას თვალი მიადევნოს, ვიდრე საყვარელ ქალთან ერთად ლოგინში იკოტრიალოს.**

ამასთან ერთად, 38 პროცენტს ფეხბურთის ყურებაც სურს და საყვარელ ადამიანთან ყოფნაც, ანუ ისინი ამბობენ, რომ ტელევიზორს საძინებელში გაიტანენ.

ზოგადად, სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს არა მარტო გულშემატკივრებისთვის, არამედ ნაკრების მწვრთნელებისთვის პრობლემური საკითხია და ამას ყველა სხვადასხვაგვარად უყურებს.

**ნატა ნიბლაძე**



№108. ხუთშაბათი, 5 ივნისი, 2014 წელი.

ინფორმაცია

## თავდასხმა თელავში

თელავში, „არასაპარლამენტო ოპოზიციის" ოფისიდან გამოსვლისას ბლოკის მერობის კანდიდატს — გიორგი მოსიაშვილს თავს დაესხნენ.

— თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც მოსიაშვილი ავტომობილში ჩაჯდა. ამ დროს მას მიუახლოვდა პიროვნება, რომელიც ყელის გამოჭრით დაემუქრა და დანა მოიმარჯვა. საბედნიეროდ, მოსიაშვილის მეგობარმა, რომელიც საჭესთან იჯდა, მოასწრო მანქანის დაძვრა და თავდამსხმელს არ მიეცა ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება, — აცხადებენ საარჩევნო ბლოკში.

მათივე განმარტებით, თავდამსხმელმა გიორგი მოსიაშვილს უთხრა მიზეზი, რის გამოც მისთვის „ყელი უნდა გამოეჭრა". ეს მიზეზია მოსიაშვილის განცხადება, სადაც მან ბიზნესმენი შოთა დემინაშვილი, რომელიც „ქართული ოცნების" აქტიური მხარდამჭერი და დამფინანსებელია, მონოპოლიურ ბიზნეს-საქმიანობაში დაადანაშაულა და პრემიერ-მინისტრს მოუწოდა, აღკვეთოს თელავში მონოპოლიები.

„არასაპარლამენტო ოპოზიცია" დაუყოვნებლივ საქმის გამოძიებას, თავდამსხმელის დასჯას, დამკვეთთა დადგენას და გიორგი მოსიაშვილის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოითხოვს.

ინტერპრესი

## შ ე ს წ ო რ ე ბ ა

ა. წ. 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებული თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების დღის წესრიგის მეორე საკითხი შესწორებული რედაქციით:

2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის სარევიზიო კომისიის ანგარიში კოოპერატივის აუდიტორული შემოწმების შედეგებისა და კოოპერატივის მიერ 100-პროცენტიანი წილით დაფუძნებული შპს „ბანგინოს, შპს „ღრმაღელეს", შპს „ცოდნა 2002"-ის და შპს „კოოპტექნიკის" შემოწმების შედეგების შესახებ.

კოოპერატივის გამგეობა

ხსოვნა

## გამარლი (დუდუ) დოხნაძე



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი ჰიდროლოგიის დარგში **გამარლი (დუდუ) დოხნაძე**.

კიდევ ერთი კეთილშობილი ქართველი კაცი და კვალიფიციური მეცნიერი დააკლდა ქვეყანას, წყნარიც და მებრძოლიც, მომღიმარი. საქმისადმი ერთგულებით, თავმდაბლობით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, შრომისმოყვარეობით გამორჩეულს, მუდამ სითბოთი და სიყვარულით სავსეს, დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მის მშობლიურ ინსტიტუტში.

ბატონი დუდუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებიდან (1961-1966) დღემდე — 48 წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (ყოფილი ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი). 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით.

1976-1978 წლებში მუშაობდა სირიაში ინჟინერ-ჰიდროლოგად. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად 1996-2004 წლებში ხელშეკრულებით მოღვაწეობდა საქართველოს შეიარაღებული ჯარების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში სექტორის ხელმძღვანელად. თსუ-ს პროფესორი დუდუ დოხნაძე თავის მდიდარ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას მრავალი წლის მანძილზე უნაწილებდა მომავალ სპეციალისტებს: 2001-2004 წლებში კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის კურსით საქართველოს უშიშროების სამინისტროს აკადემიაში, 2004-2005 წლებში — თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ სამხედრო აკადემიაში — სამხედრო გეოგრაფიის კურსს, ხოლო 2004-2005 წლებში — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მუშაობის პერიოდში მას საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის: მონოგრაფია და სახელმძღვანელოები უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის. 2001 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთის 7 სამეცნიერო გრანტში.

ტექნიკის აკადემიური დოქტორის დუდუ დოხნაძის ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი ტკივილი, ღრმა პატივისცემა და უსაზღვრო სინანული დაუტოვა მის ოჯახს, კოლეგებს, მეგობრებს. დღეს ინსტიტუტი, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა, დიდი მოწიწებითა და სინანულით გემშვიდობებათ თქვენ, ბატონო დუდუ, თავის რჩეულსა და საამაყო წარმომადგენელს, ღირსეულ ადამიანსა და პიროვნებას, მეცნიერსა და ინჟინერს, მოწოდებით პედაგოგს, კარგ მეგობარს, შესანიშნავ მეოჯახეს, ჭეშმარიტ ინტელიგენტსა და მამულიშვილს. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს თქვენი სული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.

გაითვალისწინეთ!

## აქტიური პროცესები ივნისში

**ივნისში** გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 6-10, 13-15, 18-21, 24-29 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.

**6 — მთვარის პირველი მეოთხედი**. შეიძლება გაჩნდეს პრობლემები გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში. შეგიძლიათ იგრძნოთ გაზრდილი კრიტიკა, ნერვიულობა. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, უძილობა, საკვების გადამუშავების დარღვევა. გირჩევთ უარი თქვათ ცხიმიან საკვებზე, ერიდოთ ფიზიკურ და ემოციურ გადატვირთვებს.

ხელსაყრელი დროა საერთო გამაჯანსაღებელი პროცედურებისათვის, საქმიანი და ინტელექტუალური აქტივობისათვის.

**8 — მთვარის შეერთება მარსთან სასწორში**. გაიზრდება ემოციურობა, ინტერესი საპირისპირო სქესისადმი, მოუთმენლობა, შესაძლებელია რადიკულიტის, თავის და კუჭის ტკივილების შეტევები, მშფოთვარე ძილი, ერიდეთ ტრავმებს, კონფლიქტურ სიტუაციებს, რეკომენდებულია სვათ მეტი სუფთა წყალი, გამორიცხოთ ალკოჰოლი.

ხელსაყრელი დროა აქტიური დასვენებისათვის, ურთიერთობისათვის ახლობელ ადამიანებთან, საქმიანი მოლაპარაკებისთვის.

**10 — მთვარის შეერთება სატურნთან ღრიანკალში**. შესაძლებელია ძალების დაქვეითება, თვითკონტროლის დაკარვა, გამწვავდება ქრონიკული დაავადებანი. გაზრდილია ტრავმების, ვენერიულ და ანთებით-ინფექციურ დაავადებათა საფრთხე. სასურველია, უარი ვთქვათ ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლზე. ერიდეთ გაციებასა და ინფექციებს. ნუ ასწევთ სიმძიმეებს. დღეს არ არის სასურველი დაიწყოთ ახალი საქმეები და ააგოთ გეგმები.

**13 — სავსე მთვარე**. სავსე მთვარის დროს აღინიშნება ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის გადიდება, რომელსაც შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს. შეიძლება შეიგრძნოთ შეშფოთება, ემოციური აღგზნება, გაგტანჯოთ უძილობამ. ამ დღეს რეკომენდებული არ არის ამოვიღოთ კბილები, გავიკეთოთ აცრები. სასარგებლოა დავიცვათ ზომიერება კვებაში, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

**14 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქაში**. შეიძლება შეინიშნებოდეს ფიზიკური სისუსტე. დაქვეითებული ემოციური ტონუსი. შესაძლებელია კანის, ძვლებისა და სახსრების დაავადებათა გამწვავება. ტკივილები ხერხემალსა და კბილებში. არ არის გამორიცხული სექსუალური და ენდოკრინული მოშლილობა, მოტეხილობა.

ამ დღეს სასარგებლოა მივხედოთ კანს, შევასრულოთ გამაჯანსაღებელი პროცედურები.



**18 — მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში, მერკურთან ტყუპების პირველ გრადუსებში**. ამ დღეს საალბათოა არაადეკვატური რეაქციები. ზედმეტი ნერვიულობა, გაზრდილი მგრძნობელობა ყველა სამკურნალო საშუალებებისა და ალკოჰოლისადმი. შეიძლება გაგიჩნდეთ შეშფოთება, დაბნეულობა, მეტყველების მოშლა. სასურველია უარი ვთქვათ მნიშვნელოვანი საკითხების დაგეგმვასა და გადაწყვეტაზე. ვერიდოთ ტრავმატიზმს, დავიცვათ სიფრთხილე ტრანსპორტზე მოგზაურობის დროს და საჭესთან.

**19 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი**. შეიძლება შეინიშნებოდეს ძალების დაქვეითება და გონებრივი აქტიურობა, ყოველგვარი რეაქციის შენელება, უყურადღებობა და დაბნეულობა. შესაძლებელია ფსიქიკურ სნეულებათა გამწვავება, ინფექციური და კანის დაავადებანი, შეშუპება, ტკივილები ფეხის ტერფებში. რომ შევამსუბუქოთ ღვიძლის მუშაობა, უარი უნდა ვთქვათ ყავასა და სპირტიან სასმელებზე, გამოვრიცხოთ ცხიმიანი კერძები, დავიცვათ დიეტა. სასურველია, შევამციროთ ფიზიკური დატვირთვები, არ დავძაბოთ თვალები, უარი ვთქვათ ხანგრძლივ სიარულზე.

სასარგებლოა წყლის პროცედურები, მსუბუქი გასეირნება, მასაჟი და ვარჯიშები ტერფებისათვის. ხელსაყრელი დროა დაწყებული საქმეების დამთავრებისათვის.

**21 — მზე გადადის კირჩხიბის ნიშანში, მთვარის ურანთან შეერთება ვერძში**. შესაძლებელია აფეთქებულობა, მოუთმენლობა, კონფლიქტურობა. შეიძლება შეგვაწუხოს თავის ტკივილებმა, ცუდმა ძილმა, თვალების, კბილების, სასმენი ორგანოების ტკივილებმა. დაავადებანი შეიძლება გაჩნდეს ფიზიკური და ემოციური გადატვირთვის ანდა გაუფრთხილებლობის გამო. სასურველია, უარი ვთქვათ აღმგზნებ საშუალებებზე, ყავაზე, შოკოლადზე, ალკოჰოლზე. დავიცვათ სიფრთხილე სიმაღლეზე მუშაობის დროს, წვეტიან ინსტრუმენტებთან ურთიერთობისას, ერიდეთ ცეცხლს, სვით მეტი სუფთა წყალი. დიდია დაცემების, ავარიების ალბათობა. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა უმჯობესია გადავიტანოთ მეორე დღისათვის.

ხელსაყრელია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სამკურნალო ტანვარჯიში, მსუბუქი გასეირნება.

**24 — მთვარის ვენერასთან შეერთება ტყუპებში**. შესაძლებელია ემოციური არამდგრადობა, გაუბედაობა, კაპრიზულობა. ჯანმრთელობა დიდადაა დამოკიდებული გონებრივ და ნერვულ გადაღლილობაზე. ერიდეთ ბრონქების დაავადებებს, რევმატიზმს, ნერვულ მოშლილობებს, რეკომენდებულია ვერიდოთ სტრესებს, გადაღლილობას, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი. სასარგებლოა სასუნთქი ვარჯიშები. წყლის პროცედურები, გასეირნება. ხელსაყრელი დროა ხანმოკლე მგზავრობისათვის, საქმიანი ურთიერთობისა და საფინანსო ოპერაციებისათვის.

**27 — სავსე მთვარე**. მწვავდება ქრონიკული დაავადებანი, ქვეითდება შრომისუნარიანობა, გაჩნდება დაბნეულობა, შესაძლებელია არაადეკვატური რეაქციები და იმუნიტეტის დაქვეითება. ამ დღეს ჩვენზე ძლიერ გავლენას იქონიებს ალკოჰოლი, წამლები. არის საფრთხე საკვებისგან მოწამვლისა, საკვების გადამუშავების დარღვევა და პრობლემები ღვიძლთან დაკავშირებით. არ არის სასურველი ნემსების გაკეთება და ოპერაციები. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება და გეგმების აგება.

სასარგებლოა უარი ვთქვათ ალკოჰოლზე. ვიკვებოთ მსუბუქად. დავისვენოთ, გონებას მივცეთ დასვენების საშუალება. ხელსაყრელი დროა საოჯახო საქმეებისა და მსუბუქი გასეირნებისათვის.

**29 — მთვარის შეერთება იუპიტერთან კირჩხიბში**. ამ დღეს იოლია აღმოვჩნდეთ ნაწყენი, ეჭვიანი, შესაძლებელია პრობლემები კუჭთან, ღვიძლთან და ნაღვლის ბუშტთან, სარძეო ჯირკვლებთან დაკავშირებით, დაავადებანი გაციებისა და გადატვირთვისგან.

თავი შეიკავეთ ალკოჰოლისგან, ცხიმიანი და ცხარე საკვებისგან. დიეტის დაუცველობის დროს შეიძლება მივიღოთ გასტრიტის გამწვავება, შაქრის ამაღლება სისხლში.

ხელსაყრელი დროა გასეირნებისთვის, დასვენებისთვის, სხეულის მოვლისთვის, სახლის კეთილმოწყობისთვის, მეტი ყურადღება დაუთმეთ ფილოსოფიასა და რელიგიას.

საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები სამძიმარს უცხადებენ ბატონ ომარ დალაქიშვილს დის

**თამარის**

გარდაცვალების გამო.

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი თანაგრძნობას უცხადებს ლევან კორკოტაშვილს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

## შსს-მ ტრეფიკინგის ფაქტზე ტაჯიკეთის მოქალაქე დააკავა

შსს-ს ინფორმაციით, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ტრეფიკინგის ბრალდებით ტაჯიკეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1974 წელს დაბადებული ზარინა ა. ბათუმში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2012 წლის 7 დეკემბერს, ტაჯიკეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, 1988 წელს დაბადებული, ბარგიგულ რ. ჩამოიყვანა. ზარინა ა-მ მას პასპორტი ჩამოართვა, თავისუფლად გადაადგილების უფლება შეუზღუდა, შანტაჟით, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარითა და ფიზიკური ანგარიშსწორებით, პროსტიტუციაში იძულებით ჩააბა და ერთი წლის განმავლობაში მის მიერ გამომუშავებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდა.

ინტერპრესი

## ჩვენი კარაბადინი

**თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარეშე. მაგრამ რამდენად უსაფრთხოა ეს ხელსაწყოები?**
**ჩვენი ექსპერტია — რუსეთის ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების ცენტრის დირექტორი ოლეგ გრიგორიევი.**

**ჩვენ მუდმივად ელექტრომაგნიტური ველების მოქმედების ზონაში ვიმყოფებით: დუღს ელექტროჩაიდანი, რეკავს ტელეფონი, მუშაობს მიკროტალღოვანი ღუმელი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, კომპიუტერი, მაცივარი... როგორ დავიცვათ თავი მავნე გამოსხივებისგან?**

### საგანგაშო ზარი

**ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოში სასიხარულო ახალი ამბავი გავრცელდა: მობილური ტელეფონები არ ვნებენ ჯანმრთელობას. ასეთ დასკვნამდე 11-წლიანი გამოკვლევის შედეგად მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები პროფესორ დევიდ კოგგონის მეთაურობით.** ბრიტანელებმა ვერ მონახეს იმის დადასტურება, რომ ქსელური ტელეფონების გამოსხივება, სახიფათო დაავადებებს იწვევს. თუმცა, ყველა მეცნიერი როდი იზიარებს მათ ოპტიმიზმს. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, კიბოს შესწავლის საერთაშორი-



სო სააგენტომ, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში შედის, ქსელური ტელეფონები კანცეროგენების შესაძლო წყაროებს მიაკუთვნა.

ერთი სიტყვით, სანამ დავაში ჯერჯერობით წერტილი არ დასმულა, უმჯობესია თავი დავიზღვიოთ.

● **წერეთ „ესემესები“ — ეს უფრო უსაფრთხოა, ვიდრე დარეკვა.**

● ტელეფონს ნუ მიიტანთ ყურთან, სანამ არ დაელოდებით შეერთებას. მობილური ტელეფონიდან მაქსიმალური გამოსხივება არის ნომრის აკრეფის მომენტში, საუბრის დროს იგი მცირდება.

● ნუ ჩაიდებთ ქსელურ ტელეფონს ბალიშის ქვეშ და ნუ დატენით მას საწოლის გვერდით — დასატენი მოწყობილობა ქმნის სამრეწველო სიხშირის მაგნიტურ ველს.

● ეცადეთ, არ ილაპარაკოთ მობილური ტელეფონით დღეში 15-20 წუთზე მეტი ან გამოიყენეთ ჰენს ფრის გარნიტურა. გამოსხივება ასე რამდენჯერმე მცირდება.

# ფრთხილად: გამოსხივებაა!

## რამდენად სახიფათოა მობილური ტელეფონი და მიკროტალღოვანი ღუმელი?

### დაიცავით დისტანცია

**საყოფაცხოვრებო ტექნიკა „მავნებლობის“ ნაწილში ჩამორჩება მობილურ ტელფონებს. თუმცა, ისიც შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეულ საფრთხეს.**

**მიკროტალღოვან ღუმელს** აქვს ძლიერი ელექტრომაგნიტური ველი, მაგრამ მასში არის სპეციალური დამცავი ეკრანი. თანაც საკვები მიკროტალღოვან ღუმელში ცხელდება სწრაფად, და თუ მთელი კორპუსით არ დაეყრდნობით მას, ვერ მოასწრებთ „მოაგროვოთ“ მავნე გამოსხივება. მაგრამ მაინც თქვენი უსაფრთხოების მიზნით ასეთი ღუმელი გასწიეთ მეტრი-მეტრნახევრით იქით იმ ადგილიდან, სადაც დიდ დროს ატარებთ (ტახტი, მაგიდა, სავარძელი). ნუ იქნებით მომუშავე მიკროტალღოვანი ღუმელის გვერდით.

**მაცივარი** — სავსებით უსაფრთხო ხელსაწყოა, ელექტრომაგნიტური გამოსხივების დასაშვები დონის გადაჭარბება შეიძლება შეინიშნებოდეს მხოლოდ უკანა სახურავთან ან ცენტრალური ნაწილში. ასე რომ, თუ მაცივარს დადგამთ ზურგის ნაწილით კედლისკენ, რისკი მინიმუმამდე მცირდება. თუმცა, აქ არის მნიშვნელოვანი ნიუანსი: კედლის მეორე მხარეს არ უნდა იდგეს საწოლი — მაგნიტური ველისთვის აგური ან თაბაშირის მუყაო დაბრკოლება არაა.



სარეცხი მანქანების ელექტრომაგნიტური ველები შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი, მაგრამ რეცხვას ყოველდღე არ ვაწარმოებთ და ცოტა ვინმე თუ ზის მომუშავე მანქანის გვერდით. იგივე შეიძლება ითქვას **მტვერსასრუტზეც** — გენერალურ დალაგებას აწყობენ კვირაში ერთხელ, მტვერსასრუტს ამუშავებენ მოკლე დროით, ხელსაწყოდან დაშორებული არიან საკმაოდ დიდი მანძილით.

ამ თვალსაზრისით გაცილებით სახიფათოა **კომპიუტერები და ტელევიზორები,** ბევრი ჩვენგანი ხომ მათ წინ საათობით ვსხედვართ. ჯანმრთელობის რისკი რომ არ გავწიოთ, სპეციალისტები გვირჩევენ, ტელევიზორი დავდგათ 1,5-2 მეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც ვსხედვართ, კომპიუტერი კი 60-80 სანტიმეტრის დაშორებით თვალებიდან. ამასთან უკანა სახურავი კედელს უნდა „უყურებდეს“. სამაგიეროდ ნოუთბუკი შეიძლება დავიდოთ მუხლებზე —ეს შედარებით უსაფრთხო მოწყობილობაა. თუმცა კვების ბლოკს ეს არ შეეხება.

**კონდიციონერი, ჰაერის დამტენიანებელი და გამსუფთავებელი** მუშაობს, როგორც წესი, საათობით და დღე და ღამეების განმავლობაშიც, ესე იგი მათ ირგვლივ „გამოკიდებულია“ ელექტრომაგნიტური გამოსხივება. და რახან ასეა, ასევე დაიცავი დისტანცის! მანძილი ამ ხელსაწყოებსა და საწოლს შორის უნდა იყოს სულ ცოტა1,1-5 მეტრი, განსაკუთრებით ბავშვთა ოთახში.

### მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

ფარის კარადა სახლის გარეთა მხრიდან (რაც იშვიათობა როდია პირველ სართულზე მცხოვრებთათვის) — ელექტრომაგნიტური ველის ძლიერი წყაროა, რომელიც აღწევს ბინაში. თავდაცვის ერთადერთი წყაროა დადგათ „ცუდ“ ადგილას ავეჯის ის საგანი, რომელთანაც იშვიათად მიდიხართ. საწოლი, მაგიდა და სავარძელი კი გასწიეთ მისგან 1,5-3 მეტრით.

### სხვათა შორის

**ბევრი დიასახლისი ლუმინესცენციურ ნათურას აყენებს სამზარეულოში ქურის თავზე ან თაროებს ქვეშ. ამ დროს იგი ქმნის შესანიშნავ „ფონს“. ამიტომ, უმჯობესია იგი მოშორებით განვათავსოთ.**

## ინფორმაცია

### სახლს ხანძარი მესამედ გაუჩნდა

**რუსთავში, ჭავჭავაძის 36-ში, საცხოვრებელი კორპუსის მეოთხე სართულზე, ფოჩხუების ბინაში ხანძარი გაჩნდა. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, ხანძრის დროს ისინი აივანზე ისხდნენ, კვამლის სუნზე ოთახში შევიდნენ და ნახეს, რომ იქაურობას ცეცხლი ეკიდა.**

**ხანძრის ლიკვიდაციას რუსთავის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორი ბრიგადა ერთი საათის განმავლობაში ცდილობდა, თუმცა, ხანძრის მასშტაბიდან გამომდინარე მოგვიანებით დამატებითი ხანძარსაწინააღმდეგო მანქანა თბილისიდან გამოიძახეს.**

**ოჯახის დიასახლისის მადონა ფოჩხუას დედის რიმა მეგრელიშვილის განცხადებით, სახლში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ცეცხლი უკვე მესამედ გაჩნდა — პირველად 25 მაისს, მეორედ 1 ივნისს, მესამედ კი — დღეს. ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ცეცხლი თავისით ჩნდება და მას რაღაც უხილავი ძალა აჩენს. მათი თქმით, ცეცხლი ეკიდება ფარდას, ბალიშს, კარადაში ტანსაცმელს. თუმცა, მათი ნათქვამის მეხანძრეებს და პოლიციას არ სჯერათ.**

**ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. დამწვარია საცხოვრებელი ბინის მთელი ფართი და საოჯახო ნივთები. მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია მოკვლევა და ხანძრის გამომწვევ მიზეზებს ექსპერტიზა დაადგენს.**

### სოფელ დვირში სტიქიას ერთი მამაკაცი ემსხვერპლა

**ადგილობრივების თქმით, ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარე საკირულამ მურმან ლომსაძის ეზოს ნაწილი წაიღო, რა დროსაც წყალმა ისიც იმსხვერპლა.**

**მდინარე საკირულამ ასევე დააზიანა ადგილობრივთა საკარმიდამო ნაკვეთები და გზებიც. ძირითადად დაზარალდნენ დგვარის, საკირეს, დვირისა და ტაძრისის მცხოვრებლები. არსებობს საშიშროება, რომ წყალმა ამ სოფლების დამაკავშირებელი გზაც მოშალოს.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის დიმიტრი ბერიძის განცხადებით, ტექნიკა უკვე მუშაობს, რომ სამი სოფელი ტაძრისი, საკირე და დგვარი მუნიციპალიტეტს არ მოწყდეს.**

ინტერპრესი

რეკლამა
299-62-77;
599 32-85-76.

## კადრი



## გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 7 ივნისს

## ცინცხალი ანეკდოტები

**— ბრალდებულო, კიდევ რას იტყოდით თავის გასასამართლებლად?**
**— თქვენო ღირსებავ, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ ჩემი ადვოკატის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა.**

* * *

**სასამართლო ბიუჯეტიდან ორი მილიონი დოლარის დატაცების საქმეს განიხილავს. ბრალდებული მარტო ზის, უადვოკატოდ.**
**— ბრალდებულო, რატომ ხართ უადვოკატოდ? თქვენ რა, თავად დაიცავთ თავს?**
**— თქვენო ღირსებავ, როგორც კი ჩემი ადვოკატი დარწმუნდა, რომ მე არ მიმითვისებია ეს ფული...**

* * *



**— მოწმევ, კარგად იცნობთ ბრალდებულს?**
**— კი. ერთად ვმუშაობდით ბანკში.**
**— როდის იყო ეს?**
**— ორი თვის წინათ. დაახლოებით დღის ოთხ საათზე.**

* * *

**პეტკა დააპატიმრეს შინნახადი არყის გაყიდვისთვის.**
**— ბატონებო, — ეუბნება მისი ადვოკატი ნაფიც მსაჯულებს, — გთხოვთ, ყურადღებით შეხედოთ ჩემი დაცვის ობიექტს. მას რომ შინნახადი არაყი ჰქონოდა, განა მას ოდესმე გაყიდდა?**
**ბრალდებული გაამართლეს.**

* * *

**— მოწმევ, თქვენ ამბობთ, რომ იყავით განსასჯელთან სახლში ერთი საათით ადრე, სანამ იგი თავის სიდედრს მოკლავდა. ხომ არ დაუტოვებია მას თქვენზე შეურაცხადის შთაბეჭდილება? — ეკითხება მოსამართლე.**
**— თითქოს არა, ნორმალურად გამოიყურებოდა...**
**— მაინც როგორ გამოიყურებოდა?**
**— თითქმის ერთიანად თეთრი იყო... ტუჩებზეც კი ქაფი ჰქონდა, ხელში სამართებელი ეჭირა...**
**— აი, თქვენ კი ამბობდით... მერე რა გააკეთა?**
**— პირის პარსვა დაიწყო.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24